მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(60) 2013 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

პროგრამა – „სოფლის მხარდაჭერა“ მალე დასრულდება

რეგორია ხელშეკრულების შესრულების ხარისხი

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის მიხედვით განსახორციელებელი პროექტები. მათგან ზოგი დამთავრდა, ზოგი მუშა პროცესშია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 1 ნოემბრის №193 განკარგულებით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სარემონტო სამუშაოების ექსპლოატაციაში მიღები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* ბესიკ მარტიაშვილი. ამ დღეებში შევხვდით ბატონ ბესოს და ვთხოვეთ, ესაუბრა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებული პროექტების ხარისხსა და იმ სამუშაოებზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

– როგორც თქვენთვისაც და მოსახლეობისთვისაც ცნობილია, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის განკარგულებით 68 პროექტი უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ საქართველოს 2013 წლის 18 ნოემბრის განკარგულებით ამ პროექტებს დაემატა კიდევ რამდენიმე და ამდენად, სულ 71 პროექტია განსახორციელებელი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ უკვე შემოწმდა თითქმის ყველა ის ობიექტი, რომლის ჩაბარების ვადები ამოიწურა და ის პროექტებიც, რომლის განხორციელებაც მუშა პროცესშია. ამასთან აღვნიშნავ, რომ ობიექტი, რომლის სამუშაო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 20 ათასი ლარის ზემოთ ღირებულებისაა, შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესამოწმებლად იგზავნება ექსპერტიზაზე. მოგეხსენებათ, ასეთი პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრია. რაც შეეხება განხორციელებულ პროექტებს, მათი რიცხვი უკვე მატულობს და 80 პროცენტს ასცდა. ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ შემოწმებულ მთელ რიგ ობიექტებზე იყო შენიშვნები, მითითებები, რომლებიც მშენებელმა ზოგი უკვე გამოასწორა, ზოგი კი გამოსწორების პროცესშია. ასე, მაგალითად, შენიშვნები იყო გომბორში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით (შემსრულებელი ინდმეწარმე „იაგო ღრუბელაშვილი“), რაც გამოსწორდა და აღნიშნული სამუშაოების მთლიანად შესრულება უკვე 30 ნოემბრისათვის არის განსაზღვრული. ასევე, შენიშვნები იყო კოჭბანში სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას (შემსრულებელი ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძე“), ასევე, პატარძეულში მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (შემსრულებელი ინდმეწარმე „ნუგზარ სიბოშვილი“), რომლის ღირებულება 52908 ლარია. სამუშაო ჯგუფმა შემოწმებისას ჭაბურღილზე სამუშაო პროცესში ვნახეთ ხარვეზები, რაც მივუთითეთ მშენებლებს, მათ ეს ხარვეზები უკვე გამოასწორეს. ახლა იქ ერთ ჭაბურღილზედა ხდება შეკეთება, აქვე დაიდგმება უფრო დაბალი კუბამეტრი ამწეობის მქონე ტუმბო, რათა შემდეგში არ მოხდეს რაიმე ცდომილება მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდების პროცესისათვის. შენიშვნები მივეცით ასევე, გიორგიწმინდაში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწესრიგებისა და რეზერვუარების გაწმენდა-დაქლორვისათვის შპს „კახეთის კარიბჭე 2013“-ის დირექციას ჩატარებული სამუშაოების ირგვლივ, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემსრულებელმა და გამოსწორდეს ის უზუსტობა, რამაც შეიძლება შემდეგში კვლავ პრობლემები წარმოქმნას. ასევე, გარკვეული შენიშვნები იყო იმავე შპს-ს მიერ მარიამჯვარში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და სისტემის გაწმენდისა და დაქლორვის უკვე შესრულებულ სამუშაოებში. შენიშვნებია პატარა ჩაილურის სპორტდარბაზის იატაკის რეაბილიტაციისათვის ჩატარებულ სამუშაოებში (შემსრულებელი ინდმეწარმე „ვასილ ენაგელი“), სერიოზული შენიშვნებია ქეშალოში სასაფლაოს შემოღობვით სამუშაოების შესრულებაზე (ინდმეწარმე „ავთანდილ მარხვაშვილი“), რომლის ღირებულებამ 25 ათასი ლარი შეადგინა, აღნიშნული ობიექტი მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს უნდა ჩაბარებულიყო, თუმცა ვადაგადაცილებულია, მაგრამ ჯერ არსებული ხარვეზები, ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ მიცემული შენიშვნები, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. სამუშაო ჯგუფის მიერ მიცემული შენიშვნებია გამოსასწორებელი კაზლარის სასაფლაოს შემოღობვით სამუშაოებში (ინდმეწარმე „აკაკი ამირანაშვილი“), რომლის ღირებულება 19992 ლარია.

როგორც საბრის დასაწყისშიც აღვნიშნე, ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების 80%-ზე მეტი უკვე დასრულებულია, დანარჩენის დასრულება კი არსებული ხელშეკრულებით დეკემბრის 31 რიცხვისათვის უნდა მოხდეს.

სოფელ ოთარაანთკარში გათვალისწინებული იყო მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, რომელზედაც 2378 ლარის სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გავითვალისწინეთ ის, რომ ეს მოსაცდელი ამ ავტომაგისტრალზე განლაგებულ სხვა მოსაცდელებს სტანდარტებით უნდა ჰგავდეს, რათა არ დაირღვეს ინფრასტრუქტურული ერთიანობა, გადაწყდა – მგზავრთა მოსაცდელი დღევანდელ მოთხოვნათა მიხედვით გაკეთდეს და გამოყოფილ თანხას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 ნოემბრის განკარგულებით სამუშაოების შესასრულებლად დაემატა 3 ათასი ლარი.

ამ დღეებში გაფორმდა ხელშეკრულება შემსრულებელთან მანავის თემის სოფელ ბურდიანთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნულ გზასთან დაკავშირებულ სირთულეებზე არაერთხელ მომართა მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს იქაურმა მოსახლეობამ და თემის რწმუნებულმა. ამ გზით სარგებლობას თანდათან აუარესებდა წვიმისა და თოვლის წყლებისგან წარმოქმნილი ნიაღვრებიც.

გაფორმდა ხელშეკრულება სოფელ სათაფლესთან მისასვლელი 5 კილომეტრიანი გზის სარებილიტაციო სამუშაოებისათვის.

დაიწყო კაზლარი-თულარის სანიაღვრე არხების გაწმენდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დუზაგრამა-პალდოწიწმატიანის სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოების შესრულებიდან მორჩენილი იქნა გარკვეული თანხა, რომელიც მოხმარდება იორმუღანლოს საკრებულოს შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთებას, რომელშიც რამდენიმე საკრებულოა განლაგებული.

სოფელ უჯარმაში გათვალისწინებული იყო სკვერის მოწყობა და სასოფლო გზების რეაბილიტაცია. სკვერის მოწყობა აქაურებს ისეთ ადგილზე უნდოდათ, რომლის ფუნდამენტიც მცოცავ ქანებზეა და დროთა განმავლობაში შეიძლებოდა მნიშვნელოვნად დაზიანებულიყო, ამიტომ შევცვალეთ ადგილმდებარეობა და სკვერი მოვაწყეთ უჯარმის ძველი საბავშვო ბაღაბაღის ეზოში.

კაკაბეთში „საბას წყლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრდა, მაგრამ ცვლილებები შევიდა ხარჯთაღრიცხვაში და სამუშაოების შემსრულებელ ინდმეწარმესთან („გვანცა იაკობიძე“) ჩვენ გავაგრძელეთ ხელშეკრულება და ის აქ კვლავ გააგრძელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაზედაც 10 ათასი ლარი გამოიყო.

პატარა ჩაილურში შესაძენი იყო აზბესტის მილები (დ-300-400-იანი), მაგრამ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 ნოემბრის განკარგულებით აქ შეიცვალა მდგომარეობა და ამ სამუშაოსთვის აზბესტის მილების შესყიდვის ნაცვლად მუნიციპალიტეტის გამგეობა ჩვენს მუნიციპალიტეტშივე მოძიებულ აზბესტის მილებს გადასცემს.

რაც შეეხება სოფელ უდაბნოში სარიტუალო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, აღნიშნული შენობა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. გასულ წელს იქ ჩატარდა 15 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები, ჯერ-ჯერობით აქ ჩვენ ვედარ შევასრულებთ იმ სამუშაოებს, რაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით არის გათვალისწინებული მანამ, სანამ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ იქნება გადმოცემული. დღეს მიმდინარეობს შენობის პროექტირება და განიხილება შენობის დარეგისტრირება. აქ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 17818 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოებია ჩასატარებელი.

სოფელ ხაშმში შიდასასოფლო გზების რეაბილიტაციაზე ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა შესრულდეს 12 ათასი ლარის სამუშაოები. სამუშაოების 80% 22 ნოემბრისათვის უკვე შესრულებული იყო. რაც შეეხება ამავე სოფლის საბავშვო ბაღის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სადაც გათვალისწინებული იყო სკვერის მოწყობა, აქ ცვლილება შევიდა – ჯერ-ჯერობით ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების გადავადება მოხდა, რადგან მიმდებარე შენობა ახლადგარემონტებულ საბავშვო ბაღის შენობას საგრძნობლად აზიანებს, უნდა ჩატარდეს ჯერ შენობის გამაგრების სამუშაოები, რაზედაც 28002 ლარია გამოყოფილი. ასევე, მოხდება ხაშმის სასაფლაოს გზაზე ცხაურის მოწყობაც. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ცვლილებების განსახორციელებლად ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 ნოემბრის განკარგულებით. აღნიშნული სამუშაოები 25 ნოემბრის შემდეგ დაიწყო.

რაც შეეხება მანავის სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის საკითხს, აქ გადაწყდა, რომ მოეწყობა ჭაბურღილი და რეზერვუარი, რომელიც სასმელ წყალს მიაწვდის დღემდე სასმელი წყლის გარეშე დარჩენილ უბნებს. 25 ნოემბერს დაიდო სათანადო ხელშეკრულება ინდმეწარმესთან, რომელიც შეუდგა კიდეც სამუშაოების შესრულებას.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები შევიდა სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საქმეში და ჩვენი მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი 25 პროექტიდან ამ განკარგულებით ექვსი პროექტი დაფინანსდა, თანხამ შეადგინა 3.548.090 ლარი. ეს არ არის მცირე თანხა ისეთი პროექტების სრულყოფილად განხორციელებისათვის, როგორიცაა სოფელ ნინოწმინდაში გარეწყალსადენის მოწყობა (თანხა 479975 ლარი), სოფლების პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის შემაერთებელი გზის აღდგენა (1231060 ლარი), რომლის საერთო სიგრძე 4,8 კმ-ია, სოფელ გიორგიწმინდის წყალსადენის აღდგენა (630145 ლარი), ქ. საგარეჯოში რუსთაველის, დ. აღმაშენებლის, ერეკლე II-ს, წიფლისხევის, თამარ მეფის, კახეთის, კოსტავას, ჯაფარიძის, იმედის ქუჩებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (650430 ლარი), სოფელ ხაშმში წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის შეცვლა (107135 ლარი), სოფლების გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვარის შემაერთებელი, ანთოკის ხევზე გადასასვლელი მცირე ტვირთამწეობის ხიდის მოწყობა (350045 ლარი). აღნიშნული პროექტები დაიწყო, მიმდინარეობს, გარდა ჩემს მიერ დასახელებული ბოლო პროექტისა (გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვარის შემაერთებელი ხიდი), მაგრამ ხუთივე პროექტის დასრულებას ვადა გაუგრძელდა და დამთავრდება მომავალ წელს. რაც შეეხება გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვარის შემაერთებელ ხიდს, პროექტი დახარვეზებულ იქნა ექსპერტების მიერ, თუმცა ტენდერი გამოცხადდა, რომელშიც მხოლოდ ერთმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ, იმის გამო, რომ ანალოგები მას არ ჰქონია (ე.ი. ასეთი სახის პროექტის განხორციელებაში არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა და შესაბამისად, არ ჰქონდა გამოცდილება), უარი ეთქვა. ამ დღეებში პროექტში არსებული ხარვეზები გამოსწორდება, საბოლოოდ დაიხვეწება და გამოცხადდება ტენდერი.

ნოემბრის მზიანი ამინდები მშენებლებს აძლევთ საშუალებას – დროულად, ხარისხიანად შეასრულონ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ვნახოთ, სამუშაო ჯგუფის მიერ საკმაოდ მკაცრი შეფასებები მოჰყვება მათ ნამუშევარს და მით უმეტეს მათ, ვისი მუშაობის მიმართაც შენიშვნები ჰქონდა ჩვენს სამუშაო ჯგუფს.

კახა კალაძემ სოფელ კაკაბეთში ახლადაშენებული გაზსადენი გახსნა

მიმდინარე წლის 27 ნოემბერს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ აზერბაიჯანული კომპანია „სოკარ ჯორჯიას გაზის“ წარმომადგენლებთან ერთად საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში ახლადაშენებული გაზსადენი გახსნა. სოფლის მცხოვრებ 1 430 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა.

კომპანიამ „სოკარ ჯორჯია გაზი“ კაკაბეთის მიმართულებით 36 კილომეტრის სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი ააშენა. ასევე განხორციელდა სოფლის სრული დაქსელვა, რის შედეგადაც, სოფელში მცხოვრებ 1430 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა.

მინისტრის თქმით, ოჯახებს ბუნებრივი აირის სახლში შესაყვანად საჭირო თანხა რამდენიმე თვეზე გადაუნაწილდებათ. „გაზგამანაწილებელი კომპანიები მოსახლეობას ოჯახში ბუნებრივი აირის შესაყვანად საჭირო თანხის რამდენიმე თვეზე გადანაწილებას სთავაზობენ. ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხა, თვიურად 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს“, – აღნიშნა კალაძემ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

მუნიციპალური გვერდი

გამგეობა თათბირი

19 ნოემბერი, 2013 წელი

თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა. მან მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს ვრცლად გააცნო ინფორმაცია, რომელიც ითვალისწინებდა არაგაზიფიცირებული სოფლების მოსახლეობის სიის დაზუსტებას და ასევე, იმ კომლთა სიების დაზუსტებას, რომლებიც ცხოვრობენ გაზიფიცირებულ სოფლებსა და ქალაქ საგარეჯოში, მაგრამ არ აქვთ ბუნებრივი აირით სარგებლობის საშუალება. საუბარი იყო, ასევე, სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებზე, რომლებიც ვერ სარგებლობენ ბუნებრივი აირის სიკეთით. ასეთ ოჯახებზე გაიცემა ტყით სარგებლობის ბარათი, რომლითაც კომლს უფლება ეძლევა შეიძინოს (საკუთარი სახსრებით) ზამთრის სეზონისათვის საკუთარი ოჯახისათვის საჭირო შეშა, არა უმეტეს 7 კუბური მეტრისა.

თათბირზე მოისმინეს ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულთა ინფორმაციები ადგილებზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ*** **ბესიკ მარტიაშვილმა** თათბირის მონაწილეებს ზოგადად გააცნო ამ პროგრამით განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების ის ხარვეზები, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სარემონტო სამუშაოების ექსპლოატაციაში მიმღებმა სამუშაო ჯგუფმა (რომლის თავმჯდომარეცაა ბესიკ მარტიაშვილი) შემოწმების პერიოდში გამოავლინა და რწმუნებულებს, შესაბამისი სამსახურების უფროსებს მეტი ყურადღებიანობასა და პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდა.

26 ნოემბერი, 2013 წელი

სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა. თათბირზე ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა*** **ნიკო ჯავახიშვილმა** ვრცლად ისაუბრა იმ სასოფლო-სამეურნეო გამოფენით მიღებულ შთაბეჭდილებებზე, სადაც საგარეჯოელი ფერმერები ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების ფერმერებთან ერთად გაეცნენ სოფლის მეურნეობაში ბოლო ხანს მიმდინარე პროცესებს,დაათვალიერეს თანამედროვე ტექნიკა,მოისმინეს სპეციალისტთა მოსაზრებები,გაიზიარეს ფერმერთა გამოცდილება. აქვე აღნიშნა,რომ შესაძლებელია საგაზაფხულო სამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობამ კიდევ მონახოს გზები და საშუალებები ფერმერთა, საერთოდ გლეხ-კაცის წასახალისებლად,მისთვის მუშაობაში ხელის შესაშველებლად, რისთვისაც საჭირო და აუცილებელი ხდება მეტი სიზუსტით იქნას აღნუსხული თითოეული გოჯი მიწა, დარეგისტრირება მოხდეს თითოეული მიწის ნაკვეთის, მფლობელმა გამოიჩინოს კეთილი ნება და კანონიერი სახე მისცეს მის მფლობელობას მიწაზე. ეს მეტად გააადვილებს ჯერ საგადასახადო ინსპექციასთან მის ურთიერთობებს – აღარ იქნება თითქოსდა „უკანონოდ“ დაჟადაღებული ქონების შემთხვევები და აღარც მიწის არამფლობელს დაეწერება არარსებული საგადასახადო დავალება.მან კიდევ ერთხელ შეახსენა რწმუნებულებს, რომ 2011 წლის მაისიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით საერთოდ გაუქმდა ყველანაირი სახის იჯარა მიწათსარგებლობის სფეროში. ამიტომ, საჭიროა იჯარით ყოფილმა მოსარგებლეებმა გაარკვიონ სახელმწიფოს წინაშე მათი მოვალეობები,რითაც თავიდან იქნება აცილებული ყველანაირი გაუგებრობა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ გამოიკითხა თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში არსებული მდგომარეობა, დაინტერესდა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გიორგიწმიდაში განსახორციელებელი პროექტის მიმდინარეობით, რომლის დასრულებამ გიორგიწმინდელებს სასმელი წყლის პრობლემა უნდა მოუხსნას. ამასთან, მოისმინა სხვა რწმუნებულების ინფორმაციები.

დასასრულ დაისახა პრობლემების მოგვარების გზები.

საკრებულო

რიგგარეშე სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 ნოემბრის რიგგარეშე სხდომას უძღვებოდა ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ილია ჯიაურელი**. რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ბუზარიაშვილი,საკრებულოს აპარატი,დეპუტატები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე,მისი მოადგილეები ბესო მარტიაშვილი და ცისმარ თედიაშვილი.

დღის წესრიგის საკითხის „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების“ შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა (თანამომხსენებელი: ამავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ქურთიშვილი).

მომხსენებელმა და თანამომხსენებელმა სხდომის მონაწილეთ დაწვრილებით გააცნეს მომავალი წლის სახელმწიფო შესყიდვების თითოეული საკითხი (სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შეესაბამისად 1380512 ლარს შეადგენს).

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საკითხის დამტკიცებას და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

ტერიტორიული ორგანო

ჸიბლიანი

ელენე ძირკველიშვილი-ჭამიაშვილი, *შიბლიანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

ჸიბლიანი მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე.

ამ სოფელზე გადიოდა სავაჭრო, საქარავნო გზა VIს-ში, რომელიც აღნიშნულია რუკაზე, საქართველოს სავაჭრო-საქარავნო გზები VIს. მარშრუტით „გრემი-გურჯაანი-ჭერემ ქალაქი-შიბლიანი-გარეჯი-შამხორი“.

ეს სოფელი უძველესია, რაზედაც მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები და მატერიალურ-კულტურული ძეგლები.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე დგას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია VI საუკუნისა. ამ ტერიტორიაზე საკმაოდ მჭიდრო დასახლება ყოფილა. ახლაც შემორჩენილია ნასახლარები, ე.წ. „ზედაშეები“ ძირკველიშვილებისა და ჭამიაშვილებისა.

სოფლის სამხრეთით, რკინიგზის პირას, ღრმა ხვნის დროს დიდი რაოდენობით ჩნდება სამაროვნები და ნამოსახლარები, კერამიკისა და თიხის უამრავი ნამსხვრევები. აღმოჩენილი იყო უძველესი სამკაულები, რომელიც მუშებმა გადასცეს რაიონის წარმომადგენელს, მაგრამ მისი არსებობა არსად ჩანს. მიცვალებულთა ჩონჩხი სამარხებში ახლანდელი წესის მიხედვით (აღმოსავლეთიდან დასავლეთით), საპირისპიროდაა ნამარხები – ჩრდილოეთიდან სამხრეთითაა განლაგებული. სამაროვნებში აღმოჩენილია თიხის სამფეხა ლარნაკები ძვლებით (ე.ი. ხორცს ატანდნენ თან), ფიალები, ვიწროყელიანი ხელადები, სამკაულები, ქვის დანები, ბრინჯაოს იარაღის ნატეხები, რომელიც ხალხმა არ დაიცვა და ვერ წარადგინა სათანადო ადგილზე.

სოფლის სახელწოდების შესახებ სხვადასხვა აზრია:

„შიბლიაკი“ გეოგრაფიული ტერმინია, აღნიშნავს ჯაგ-ეკლიან ადგილს.

„შინდბლიანი“ – შვინდისა და ბლის სიუხვით არსებულ მხარეს.

„შიბიანი“ – ამ სიტყვის შესახებ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ 504-ე გვერდზე წერია: შიბიანი – შიბით შემკული წინდები. ქსოვილში გაყოლებული წნული ჭრელ ზოლებად, შიბებით შემკული გულისპირი, ტანსაცმელი, ქუდი, კლდის წიბო.

„შიბნიანი“ – შიბნი არის ვიწრო ბილიკი ტყეში, მტრისთვის უხილავი. რაც ახლაც არსებობს.

მტერთა თავდასხმის დროს საყარაულოს გორაზე ანთებული ჩირაღდნის დროს ხალხი ამ გზებით გარბოდა ჩრდილოეთისკენ, სადაც თავდამყურე ციხეში აფარებდა თავს. ამ ციხის ნანგრევები შემორჩენილი იყო დიდხანს და მოიცავდა „წმინდა თევდორეს“ ეკლესიის სამხრეთით და მიემართებოდა მაღალი კედლით საკმაოდ ფართოდ ჭერემისაკენ მიმავალ ძველ გზაზე მდინარე „ყარალი ხევის“ გასწვრივ. „შიბნიანი“ – „ნ“-მ დაიმსგავსა „ლ“ და მიიღო სახელწოდება შიბლიანი. ისტორიკოსი ალექსანდრრე ელერდაშვილი გაზეთ „ივრის განთიადში“ (1981წ) წერს:

„საგარეჯოს რაიონის ყველაზე განაპირა სოფელს აღმოსავლეთიდან შიბლიანი წარმოადგენს. იგი ტიპური ქართული სოფელია თავისი დამახასიათებელი კოლორიტით, ხალხის ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციით.

შიბლიანში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. ძირითადად ძირკველიშვილები, ჩოკოშვილები, ჭამიაშვილები, ზირაქაშვილები, ხუროშვილები, სადუნაშვილები, ბეგიაშვილები, ნათენაძეები (ჯავახეთიდან ჩამოსახლებულნი), სირაძეები (რაჭიდან), კოლოტაძეები. ძირკველიშვილების ერთი ნაწილი ნოდაძეები ყოფილან, ჭამიაშვილების რამდენიმე კომლი – მაისურაძეები. აქედან წასულები არიან მეშველიშვილები, ბაზერაშვილები, ნაცვლიშვილები.

ძირკველიშვილები და ჭამიაშვილები „ღვთისმშობლის“ გარშემო იყვნენ დასახლებულნი და იყვნენ საეკლესიო გლეხები.

საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული ეკლესიის ეზოში დაკრძალულია ძირკველიშვილების 14 წლის გოგონა.

ადრე შიბლიანზე გადიოდა ჩაილურიდან სიღნაღისკენ, საერთოდ კახეთისკენ მიმავალი გზა. წყალდიდობების გამო შეუძლებელი გახდა ამ გზით სარგებლობა.

შიბლიანი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით უფრო უკეთ იცავდა თავს მტერთა ურიცხვი შემოსევებისგან მე-17 საუკუნის დასაწყისში. ისტორიული წყაროებით: კაკაბეთი და ყანდაურა საშინლად აოხრდა შაჰ-აბასის შემოსევისას. სასწაულით გადარჩენილი შიბლიანელები პატრონობას უწევდნენ ახლო-მახლო გადარჩენილ ხალხს.

როცა მშვიდობა დამყარდა, კახეთის სოფლებმა კვლავ მოშენება დაიწყეს, ხშირად დავა მოსდიოდათ მკვდრეთით აღმდგარ კაკაბელებს შიბლიანელებთან სადაო მამულების საქმეზე.



1700 წლის ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ: „კაკაბელი და შიბლიანელნი მიწა-წყალზე შუღლობდნენ. მოვედით და ენისელი მოურავი ნოდარ და ენისელი მოურავიშვილი ზარაბ, ჯანდიერაშვილი გივი მოვიყვანეთ, ორნივ ვალაპარაკეთ, მთაბარი გაუსინჯეთ და ასე გავუყავით და შევარიგეთ.

იორზედ სახლთხუცესობა რომ არის ყოჯას პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისქვილოდ დავანებეთ და წისქვილებს გარდა სამჭმოთ კაკაბელთ დავანებეთ: იმას ქვემოთ ზაგრის ობას პირდაპირ პატარა თუთა არის ერთი, სამძღვარი ის არის. იმის სწორად პირდაპირ დიდი გორა არის. იმის იქით ტყე სწორად

დასასრული მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
ტერიტორიული ორგანო
შიგლიანი

დასასრული

ჭამონ, საერთო იყოს.

ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა, თუ შიბლიანელთა ბოლოს საძოვარი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუჭირონ, თუ ერთმანეთში მეზობლურად შერიგდნენ, ხვნა და თესვა არ დაუშალონ...“ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები ტ.4. გვ. 181-182).

შიბლიანი ძირითადად თავისუფალი თემი იყო, მაგრამ მიწა-წყლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ ყმებიც ახლანდელი ბადიური, ბოგდანოვკა, იორმუღანლოს და დუზაგრამის მთელი ნაწილი მიწა-წყალი, სახნავ-სათესი, ტყეები და წისქვილები კახეთის უძლიერეს თავადებს ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ.

1721 წლის კახეთის კამერალური აღწერით ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა 21 კომლი ყმა, ხოლო სახაზინო იყო (მეფის საკუთრება) 20 კომლი.

შიბლიანელები ეპარქიალურად ჭერემქალაქის მღვდელმთავრებს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ძნელბედობის ჟამს, ირანელი და თურქი დამპყრობლებისაგან განადგურების პირას მისულ ქვეყანას დაღესტნელი აბრაგები შემოესივნენ, ჭერემის სამწყსო გაუკაცრიელდა, თეიმურაზ II-მ იგი გააუქმა და შიბლიანი ნინოწმინდის ეპარქიას შეუერთა.

ანდრონიკაშვილებმა შიბლიანის ადგილმამულები ჩალის ფასად გაყიდეს. შიბლიანის უმდიდრეს ადგილებში სხვა სოფლები აღმოცენდა.

შიბლიანში სკოლა არ იყო. წერა-კითხვას სწავლობდნენ „ღვთისმშობლის“ ეკლესიაში მღვდელ ზურაბაშვილთან (იგი აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მამა იყო). აქ იზრდებოდა ავლიპი. აქვეა დასაფლავებული ვინმე ზურაბაშვილი.

როცა ეს ეკლესია და ღვთისმსახურება აღარ ფუნქციონირებდა, ზურაბიშვილი გადადის სიღნაღში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში.

„ღვთისმშობლის ეკლესია“ ამჟამად რესტავრირებულია, იგი აღადგინა სოფელმა, ასევე რესტავრაცია ჩაუტარდა „წმინდა თევდორეს“ ეკლესიას მოსახლეობის ძალებით.

სოფლის რწმუნებული
სოსო ხუროშვილი

მიწის ფართობი სულ 2110.9ჰა
აქედან:
კერძო – 210 ჰა
მუნიციპალური – 65 ჰა
სახელმწიფო – 1835,9 ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები – 1795 ჰა
აქედან:
კერძო – 65ჰა
სახელმწიფო – 1520ჰა
სახნავი სულ – 683ჰა
აქედან:
კერძო – 480ჰა
სახელმწიფო – 203 ჰა
საძოვარი – 932ჰა
აქედან:
კერძო – 321ჰა
მუნიციპალური – 65ჰა
სახელმწიფო – 546ჰა
მრავალწლიანი ნარგავები – 180ჰა
კერძო – 180ჰა

კომლი – 186
აქედან
ძირითადი – 160
მოსახლეობა – 600 კაცი

ქვეყანაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მიმდინარე პროექტებიდან აქ სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, ასე, მაგალითად:

2008 წელს: ვენახებთან ხევზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობაზე 10000 ლარი გაიხარჯა; საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას 39200 ლარი მოხმარდა.

2009 წელს: ჭაბურღილის აღდგენით სამუშაოებზე 85 ათასი ლარი, ხოლო სარწყავი არხების მოწყობაზე 5700 ლარი გაიხარჯა.

2010 წელს: ცენტრალური გზის ასფალტის ორმულ დამუშავებას 12300 ლარი მოხმარდა;

2011 წელს: შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია – 12527 ლარი;

2012 წელს: სარიტუალო დარბაზის მშენებლობას 15225 ლარი მოხმარდა;

– მიმდინარე წელს სოფლის კრებაზე

დეპუტატი
თენგიზ ძირკველიშვილი

შიბლიანელებმა პრიორიტეტულ საკითხად საუბნო წყლების ქსელის მოწესრიგება მივიჩნიეთ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ჩატარებაც ვითხოვეთ, – მეუბნება სოფლის რწმუნებული სოსო (იოსებ) ხუროშვილი, – მართალია, ჩვენს სოფელს წყაროები გვაქვს, მაგრამ იმ წყაროებს მოსახლეობამდე, უბნებამდე ნორმალურად მიყვანა სჭირდებოდა. ამ სამუშაოებზე 15238 ლარის სამუშაოები შესრულდა, ორ უბანში 11 ონკანი დაიდგა და მინდა გითხრათ, რომ ხარისხიანადაც. სასმელი წყალი დღეს სულ 30 საუბნო ონკანიდან მიეწოდება მოსახლეობას. სოფელში არის ოჯახები, რომელთაც ინდივიდუალური ონკანები აქვთ წყაროს წყლიდან გამოყვანილი. გვაქვს ორი წყაროს წყალი, ერთი სოფლის ცენტრში, ერთიც სოფლის შესასვლელში. ქვემო უბანში დავდგით რეზერვუარი, რამაც მოსახლეობის ერთი ნაწილის წყლით მომარაგების საკითხი მოაგვარა.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფელს სასმელი წყალი საკმარისად აქვს. ბუნებრივი წყაროები გვაძლევს შანსს, უფრო მეტი მოსახლეობა დაკმაყოფილდეს სასმელი წყლით, მეტი საუბნო ონკანი დაიდგას. გასაკეთებელია ცენტრალური სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა, გასაკეთებელია კაპიტალურად. როგორც ვიცი, ეს სამუშაოები რეგიონალური განვითარების პროექტით უნდა განხორციელდეს უახლოეს მომავალში.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ შიდა საუბნო გზებზე და როგორც ყოველთვის, ახლაც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალიდან სოფლამდე მისასვლელი გზა...

– მართალია, წინა წლებში ჩვენს სოფელში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, მაგრამ, მოხრეშვა, მოგეხსენებათ, დროებითია, რადგან ძლიერი წვიმებისგან წარმოქმნილი ნიაღვრები ისე რეცხავენ გზებს, რომ ზოგჯერ ასფალტის საფარსაც მიაყოლებს ხოლმე. ასეთი 2 კმ-ის გზა გვაქვს ჩვენ . რამდენჯერ იყო ასეთი შემთხვევა და გზებთან ერთად ახლად გაკეთებული ხიდიც დააზიანა.

რაც შეეხება ავტომაგისტრალიდან სოფლამდე მისასვლელ გზას, მისი სიგრძე 4.8 კმ-ია და ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. მას ნამდვილად სჭირდება არა ორმული, არამედ კაპიტალური შეკეთება. სოფელი ისედაც მოცილებულია მუნიციპალიტეტის ცენტრს და ამ გზაზე გავლა ხომ ართულებს მდგომარეობას. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ დამაიმედებელი არის რაღაც – უახლოეს მომავალში ამ გზის შეკეთებას რეგიონალური განვითარების ფონდის დახმარებით გვპირდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ვნახოთ...

– დამეთანხმებით, სოფელს გზისა და სასმელი წყლის შემდეგ ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი ესაჭიროება, მით უმეტეს, ზამთარი დადგა, ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

– სოფელი არ არის გაზიფიცირებული, შესაბამისად, თბობის სეზონთან დაკავშირებით საწვავის მომარაგებაა საჭირო. თითქმის ყველა ზრუნავს შეშის მომარაგებაზე, მაგრამ ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. მთავრობა და ხელისუფლება სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ჩართულ ოჯახებზე მეტ მზრუნველობას იჩენს, ასეთი ჩვენ 35 ოჯახი გვყავს, მაგრამ არის ოჯახები, რომლებიც ამ ბაზაში ვერ მოხვდნენ და უკიდურესად გაჭირვებულები არიან. მათაც ხელი თუ არ მიახმარა მთავრობამ, გაუჭირდებათ ზამთრის გადატანა.

სკოლის მენეჯერი
დათო ხუროშვილი

რაც შეეხება ელექტროენერგიით მომარაგებას, ჩვენ გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან, ე.წ. კაჭრეთის უბნიდან მოგვეწოდება ელექტროენერგია. გვაქვს გათიშვები ისევე, როგორც სხვა სოფლებს. არის შემთხვევები, როცა ქსელიდან თიშავენ ე.წ. „ურჩ გადამხდელებს“. გამრიცხველიანობა დაიწყო სოფელში, თითქმის ნახევარი სოფლის გამრიცხველიანობა მოხერხდა დღემდე.

– სოფელი საკმაო მანძილითაა (თითქმის 30 კმ-ზე მეტი) მოცილებული მუნიციპალიტეტის ცენტრს, რას იტყვით სამედიცინო მომსახურებაზე?

– გვაქვს საექიმო ამბულატორია, სადაც ოჯახის ექიმი ცინარ აბესაძე ემსახურება ჩვენს მოსახლეობას. შენობაში, რომელშიც საექიმო ამბულატორიისათვის ერთი ოთახია გამოყოფილი, საბავშვო ბაღიცაა განთავსებული. შენობა რემონტს მოითხოვს (მოჭარბებული ნესტისაგან) საბავშვო ბაღის სამზარეულოში იატაკი ჩაიმტვრა, ჩავარდა.

საბავშვო ბაღის მენეჯერია თამარ ხუროშვილი. აქ 12 აღსაზრდელია. მათ აღმზრდელი ეთერ ყუშიტაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე მაკა ოთარაშვილი და მზარეული თინათინ ჭამიაშვილი ემსახურებიან.

– სკოლის შენობა სულ ახალია, ამით სხვა სოფლებთან შედარებით, მართლაც საამაყო გაქვთ.

– დიახ, სკოლა 2012 წლის სექტემბერში გაიხსნა და ამ მხრივ მართლაც საამაყო გვაქვს. სკოლაში (მენეჯერი დავით ხუროშვილი) 12 საკლასო ოთახია, არის ბიბლიოთეკა, საქტო დარბაზი, ინფორმატიკის კაბინეტი, მაგრამ სკოლას არ აქვს

საბავშვო ბაღის მენეჯერი
თამარ ხუროშვილი

სპორტული დარბაზი. აქ 64 მოსწავლის აღზრდა-განათლების საქმეს 22 პედაგოგი ემსახურება.

მოგეხსენებათ, რომ სკოლა და საბავშვო ბაღი კარგად წარმოაჩენს დემოგრაფიულ მდგომარეობას – ამ მხრივ ძალზე დამაფიქრებელია – წელს სექტემბერში პირველ კლასში მხოლოდ ორი მოსწავლე შევიდა და მეთორმეტე კლასს 5 მოსწავლე ამთავრებს.

– დემოგრაფიულ დონეს წვევამდელთა რაოდენობაც წარმოაჩენს...

– დიახ. ამჟამად ქართულ არმიაში 6 შიბლიანელი იხდის სამშობლოს წინაშე თავის სამხედრო-სავალდებულო სამსახურს.

– დღეს პრობლემაა სოფლიდან ახალგაზრდების გადინება, თქვენთან როგორაა ამ მხრივ საქმე...

– ეს ყველა სოფლის, ყველა მუნიციპალიტეტის პრობლემაა. მხოლოდ ახალგაზრდა კი არა, ოჯახები მიდიან სოფლიდან. თითქოს მარტივი მიზეზია – დაუსაქმებლობა, მაგრამ, გინდაც დაასაქმოთ სოფელში, რაზე შეიძლება დასაქმდეს და რამდენი კაცი? მოუწესრიგებელია მიწის საკითხი. წლებია, რაც იჯარით გაცემულ მიწებზე პრობლემები შეექმნათ შიბლიანელებს. ზოგიერთმა 1998-1999 წლებში გააფორმა სახელმწიფოსთან იჯარით ხელშეკრულება, აიღო მიწის გარკვეული მონაკვეთი, მაგრამ შემდეგ ვეღარ შეძლო მისი დამუშავება და უკან დააბრუნა სახელმწიფოს, ვეღარ დათესა, ვეღარ მოუარა, მაგრამ აღარსად ჩანს, რომ უკან დაუბრუნა მიწა, გააუქმა ხელშეკრულება და ავტომატურად ერიცხება მიწის გადასახადი – დაყადაღებულია ქონება, მაგრამ ვეღარაფერი გაურკვევია, რადგან წლები გავიდა, საგადასახადო სამსახური კი მას მიწათსარგებლობის გადასახადს სთხოვს. არის შემთხვევებიც – იჯარა გაუქმდა, მაგრამ მიწას კვლავ ამუშავებს ზოგიერთი – გადასახადის გვერდის ავლით. ერთი სიტყვით, სანამ არ დაიწყება მიწების ინვენტარიზაცია, ვერაფერს გავარკვევთ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. იქნებ სოფელს რაიმე ეშველოს ამ კუთხით. სოფელს არც სათიბი მიწები გააჩნია. ისეთ სოფელში კი, როგორიც ჩვენია, მიწის, სათიბის გარეშე შეუძლებელია ფერმერული მეურნეობის განვითარება. მარტო მევენახეობას და მებოსტნეობას არ მისდევს აქაური მოსახლეობა – აქ მეცხოველეობა ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია.

შენობა, რომელიც 100-ზე მეტი წლისაა

საგარეჯოს II საბავშვო ბაღი (მენეჯერი ლილი ლოლაძე) იმ შენობაშია განთავსებული, რომელიც ექსპლოატაციაში ამიერკავკასიის რკინიგზას 1912 წელს გადაეცა – რკინიგზის სადგურის ადმინისტრაციული შენობის დანიშნულებით. მისი გაშენების ფართობი 170 მ²-ია, შენობის მოცულობა – 557მ3, ოთახები – 7, ასე გვაუწყებს შენობის პასპორტი. ახლა აქ ორი ჯგუფია შეყუჟული, ლამაზი, თვალებციმციმა გოგო-ბიჭებით, მზრუნველი აღმზრდელებით, ნაყოფიერი მეცადინეობებითა და საინტერესო ღონისძიებებით. ყოველ დღეს აქ სიხარულით მოიჭარიან მარი ბასლიკაშვილი, გიორგი მამისაშვილი, გიორგი იანვარაშვილი, ელენე ლევიცკი და მათი ჯგუფელები. აქ მათ აღმზრდელი ელისო ჩერქეზიშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ნინო ოთარაშვილი ელოდებათ და კიდევ, მზარეული ლალი გოქაძე, თავისი ოქროს ხელებით გემრიელ საჭმელებს რომ უმზადებთ. 21 ნოემბერსაც დილიდან ნელ-ნელა შემოხსნეს კარები, ომახიანად გვისურვეს მშვიდობიანი დილა და ისე მოხერხებულად მოეწყვნენ სახატავ ფურცლებთან, თითქოს ის-ის იყო, ახლა, ორიოდე წუთის წინ მიეტოვებინოთ სახატავი მასალა. თან მხიარულად, ხმადაბლა უყვებიან, ეჩურჩულებიან ერთმანეთს რაღაცეებს. მერე ლექსები გვითხრეს, სხაპასხუპით, დამორცხვებული ღიმილით... მათი აღმზრდელი ელისო ჩერქეზიშვილი გამოცდილი პედაგოგია, 1969 წლიდან ემსახურება ე.წ. რკინიგზის სადგურის

დასახლების სკოლამდელების აღზრდას.

– მუშაობა 1969 წელს დავიწყე აღმზრდელად. პირველად საბავშვო ბაღი სამგორის დასახლებაში იყო. ძალიან ბევრი აღსაზრდელები გვყავდა მაშინ. ერთ ჯგუფში მე, მაგალითად 40-ზე ნაკლები აღსაზრდელი არ მყოლია, – მითხრა ქ-ნმა ელისომ,– მაშინ საბავშვო ბაღის გამგე იზოლდა კოხტაშვილი იყო. 1973 წლის ივნისიდან სამგორის დასახლებიდან საბავშვო ბაღი ამ შენობაში გადმოიტანეს – რკინიგზის დასახლების მოსახლეობისათვის შორს იყო და ამიტომ უმჯობესი იყო ამ შენობაში „შემოხიზვნა“.

1974 წლიდან კი ბაღის გამგე ელისო ჩერქეზიშვილი იყო. 1984 წლიდან დღემდე საბავშვო ბაღის მენეჯერი ლილი ლოლაძეა. ლილი ჯერ შიბლიანის საბავშვო ბაღში მუშაობდა აღმზრდელად, შემდეგ კი ამ საბავშვო ბაღში გადმოიყვანეს.

მეორე ჯგუფში, რომელშიც ლაშა-გიორგი, ნინი, მარი, როინიკო, ლიზი, ბარბარე და მათი ჯგუფელები არიან, 2-3 წლიანთა ჯგუფი ჰქვია. აქ მასწავლებელი ქეთევან კოჭლამაზაშვილია, აღმზრდელის თანაშემწე კი – ნინო ჭიაბერაშვილი. დღეს რობიმ და ანრიმ მათი ჯგუფელების თქმით, ჯერ თითქოს დააგვიანეს, შემდეგ „შეატყვეს“ აღარ მოვიდოდნენ და გულისტკივილით გამანდეს მათი მოუსვლელობა. მივხვდი, ალბათ ბევრი გასართობი ჰქონდათ დაგეგმილი ბიჭებს, თუმცა, ლექსებით თავი მოიწონა ყველამ, განსაკუთრებით კი 2 წლის ნინომ და როინიკომ, ლიზიმაც მოგვხიბლა... მერე დეიდა ლალიმ ოხშივარავარდნილი „ყიყლიყო“ და ჩაი შემოიტანა და ვაცადეთ ერთად „ქეიფი“ მეგობრებს...

ერთი შეხედვით, ამ ბაღში ბავშვებს არაფერი აწუხებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენს წუხს მათი მენეჯერი, აღმზრდელები, აღმზრდელის თანაშემწეები, მზარეული?! დაბერდა შენობა, მოირყა, თუმცა ისიცაა გასაკვირი, როგორ ინარჩუნებს დღემდე მოდწეულ სახეს, როცა რკინიგზის ლიანდაგი ალბათ 10 მეტრი მანძილითაც არ არის დაცილებული?! მოვა წვიმა, ჩამორეცხავს კედლებს და შეათეთრებს აქაური პერსონალი, შეაკეთებენ სახურავს... ახლაც ჩამოდის წვიმის წყალი საკუჭნაო ოთახში, სამზარეულოში, ამიტომ მაცივარი მენეჯერის ოთახში „გახიზნეს“ დროებით. ტუალეტი გარეთ, ეზოშია, რომელიც არაერთხელ ჩავარდა ორმოში. ზამთარში პატარების ჯგუფს ქოთნები აქვთ, მაგრამ უფროსი ასაკის ბავშვებს რა უყონ, აღარ იციან. ქარი ავარიულს ხდის ხის აივანს, ერთგან ფანჯარაც ჩამოვარდა და ქარისა და წვიმის შესაკავებლად სახელდახელოდ შეკრული „დიქტებით“ აფიცრეს. როგორ აღარ ალამაზებენ ოთახებს – ლამინირებული ფოთლებით, კედელზე დახატული უზარმაზარი ნატვრის ხით, კუდმაკრატელა მერცხლებით, ჭია-ჭიამაიებით, ლამაზ-ლამაზი ზღაპრებით, ლექსებითა და სიმღერებით. 4-5 წლიანთა ჯგუფში პიანინოც უდგათ ბავშვებს, თუმცა 1997 წლიდან პრეზიდენტის ბრძანებულებით მუსიკის მასწავლებლის გაუქმებული შტატი აღარც აღარავის აღუდგენია, ამიტომ მენეჯერი ყველანაირად ცდილობს ბავშვებს ღონისძიების მომზადების პერიოდში

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

დაეხმაროს და მუსიკის მასწავლებლის მოვალეობაც შეასრულოს.

– გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რკინიგზის დასახლების მოსახლეობას ახალი საბავშვო ბაღის შენობას დაჰპირდა – ძველ შენობას, რომელიც რკინიგზის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის გვერდით მდებარეობდა და 90-იან წლებამდე მაღაზიის ფუნქციას ასრულებდა, ფუნდამენტი გაუმაგრეს, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს აივნები გამოუმატეს, სახურავიც გადახურეს, მაგრამ ეს ყველაფერი საპარლამენტო არჩევნებამდე. შემდეგ კი... შენობაზე დღემდე დაინტერესება არავისგან არ ჩანს. საბავშვო ბაღში გადასახადის გაუქმებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენი კონტიგენტი მშობლებმა ქალაქის კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღებში გადაანაწილა, – მითხრა ბაღის მენეჯერმა, – მაგრამ ვიტოვებთ იმედს, რომ კარს მომდგარი მომავალი წლიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყურადღების მიღმა არ დატოვებს ჩვენს მდგომარეობას და ახალ სასწავლო წელს მაინც შეძლებენ ჩვენი აღსაზრდელები საბავშვო ბაღის ახალ შენობაში მეცადინეობების გაგრძელებას...

მანამდე კი საბავშვო ბაღის აქაურ აღსაზრდელებს წინ უამრავი მეცადინეობა ელოდებათ. ახლახანს „შემოდგომა“ გაიცნეს, ზეიმიც მოუწყეს, აქეს-ადიდეს, მოეფერნენ, პირი ჩაიგემრიელეს ხილით და ახლა „ზამთრის“ დასახვედრად ემზადებიან, სწავლობენ ზამთრის ჩვევებს, ხასიათებს, ზამთრის დღესასწაულებს და ამაში მხიარულად მოგუზგუზე ღუმელიც ეხმარებათ – ისიც მონაწილეობს მათ სამომავლო ღონისძიებაში.

ᲐᲡᲔ ᲜᲐᲓᲑᲣᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲘ

უჯარმის „უდაბნო“

გომბორის გზით კახეთში მიმავალი ჩვეულებრივი მგზავრი ვერც შეამჩნევს უჯარმის შემოგარენში მუხროვანის დასახლების მახლობლად, კლდეში ნაკვეთ პატარა სარკმელს, რომელიც უბრალო კლდის ნასხლეტად თუ მოეჩვენება შეუიარაღებელ თვალს, სინამდვილეში ეს პატარა შავი წერტილი გახლავთ კლდეში ნაკვეთი სენაკების ერთ-ერთი სარკმელი, რომელიც ჩვენს წინაპრებს შუა საუკუნეებში გამოუკვეთიათ, რათა ხელოვნების კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი დაეტოვებინათ თავისი შთამომავლობისათვის.

როდესაც თვალს შეავლებთ ჟამთა სიავით შებღალულ მის მინგრეულ-მონგრეულ და შებილწულ კედლებს, სიბრალული შეგიპყრობს, სევდანარევ ფიქრებში ჩაიძირები და გული დაგეთუთქება იმ უსულგულობით, რაც ჩვენი სახელოვანი წინაპრების ამ დიდებული ძეგლის მიმართ გამოუჩენიათ მომდევნო თაობებს.

ნეტავ რა ხელმა, რა ნებისყოფამ, რა პატრიოტულმა გზნებამ და შემართებამ ააგო ამოდენა ძეგლები, მარტო ამ პატარა ხელისგულისოდენა უჯარმის მიწაზე განულაგებიათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს უჯარმის უზარმაზარი ციხე-ქალაქების დიდებული კოშკ-გალავნები, ხორაგის მონასტერი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დიდებული კომპლექსი, სამების მონასტერი, წმინდა რაჟდენის ეკლესია, ხაშმის ნათლისმცემელი და ეს უჯარმის „უდაბნოც“.

ალბათ აღარ ეყოთ საასპარეზოდ დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრები ჩვენს წინაპრებს და სხვა უდაბნოებშიც დაიწყეს კლდეში ნაკვეთი სენაკების მოხატვა, ვინ იცის ფუნჯის ამ სწორუპოვარ ოსტატებს რა ვნებათაღელვა აღაგზნებდათ, რათა ახალგაზრდობაში განცდილი მგზნებარება კლდეში ნაკვეთი სენაკების მოხატვაში დაეცხროთ.

XIII–XIV საუკუნეები ყველაზე ნაყოფიერი იყო ქართული ხელოვნების ისტორიაში. ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით გარეჯის უდაბნოებში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის მონუმენტური ფერწერა. ამ დროს მოიხატა ბერთუბნის მონასტრის კლდეში ნაკვეთი სენაკები და სატრაპეზოები, რომლებსაც თავისი ორიგინალური სტილით ბადალი არ ჰყავს მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. აქ არსებულმა სამხატვრო სკოლამ მყარ ტრადიციებზე დაფუძნებული სწორუპოვარი ხელოვნება შექმნა.

ჩვენის აზრით, უჯარმის „უდაბნოს“ კედლის მხატვრობა შესრულებული უნდა იყოს გარეჯის სამხატვრო სკოლის რომელიმე წარმომადგენლის მიერ, ვინაიდან თავისი შინაარსით, სტილითა და წერის მანერით ძალიან მიემსგავსება გარეჯის უდაბნოების მონასტრებში შექმნილ კედლის მხატვრობას.

ვიდრე უჯარმის „უდაბნოს“ კედლის მხატვრობას შევეხებოდეთ, მოკლედ აღვწეროთ თვითონ ძეგლი.

კლდეში ნაკვეთი ეკლესია შედგება 4 ნაგებობისაგან, რომელთაგან შედარებით უკეთ არის შემორჩენილი კლდეში ნაკვეთი ჩრდილოეთის მხარის თაღოვანი ეკლესია,მას სინათლის წყარო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აქვს. მისი ფართობი 5X8=40მ2. შენობას სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს კარები, რომელიც დანარჩენ შენობებთან აკავშირებს კლდეში ნაკვეთ ეკლესიას.

კლდეში ნაკვეთი ეკლესია შელესილია გაჯით. გაჯის სამაგრად ჭერში გამოუყენებიათ ჭიგო-ლასტის ლარტყი. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები მხოლოდ კლდეში ნაკვეთ ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ნაგებობაშია.

ძირითადი ნაგებობა, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად კლდეშია ნაკვეთი. ძირითადი შენობას კარები აკავშირებს დანარჩენ ნაგებობებთან, შუაში მდებარეობს ძლიერ დანგრეული შენობა, რომლის ფართობი ასევე 40მ2-ს უდრის.მას აღმოსავლეთიდან მთლიანად საძირკვლამდე დანგრეული აქვს კედელი, შერჩენილია მხოლოდ კედლის ფრაგმენტი. მას თაღოვანი გადახურვა ჰქონია, რასაც ადასტურებს დასავლეთის მხარეს შემორჩენილი თაღის ფრაგმენტები. ნაგებობას უკან დასავლეთისაკენ პატარა კარები აქვს დატანებული, საიდანაც შევდივართ ბნელ გამოქვაბულში, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია და ქანების ნანგრევებით არის გამოვსებული.

სულ ბოლო ნაგებობა ასევე ძლიერ არის დანგრეული. მას ორი კარები აქვს, ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით, როგორც ჩანს, ისიც თაღოვანი გადახურვისა ყოფილა. შენობას განჯინებიც აქვს – ორი სამხრეთით, ორი აღმოსავლეთით.

როგორც ჩანს, აღნიშნული ნაგებობებიდან , ჩრდილოეთით მდებარე ნაგებობა (სადაც კედლის მხატვრობის ფრაგმენტებიც არის შემორჩენილი) ეკლესია უნდა ყოფილიყო, ხოლო დანარჩენი სამი ნაგებობა ბერების საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

სამშენებლო მასალა და მშენებლობის სტილი მეტყველებს იმაზე, რომ იგი ძალზე ძველია, კერძოდ VI-XV საუკუნეებს განეკუთვნება.

ახლა გავეცნოთ თვითონ კედლის მხატვრობას. რა იყო და რა დარჩა იქ დღეისათვის. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვადგინოთ რა იყო დახატული უჯარმის „უდაბნოს“ მიბინდულ კედლებზე, მოვიყვან პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგის ნარკვევის „ძველი მხატვრობა გარეჯ-კახეთში“ ერთ ნაწილს, რომელიც დაიბეჭდა 1924 წლის ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების“ №9-10-ში. ვბეჭდავთ ზოგიერთი შესწორებებით, კერძოდ, აქ მოგვყავს ბერძნული ტექსტი და ძველი ქართულის ტექსტები (სტილი დაცულია):

„კლდეში გამოქვაბულ მონასტერში, რომელიც 4 ნაწილისაგან შედგება, ფრიად საინტერესოა, ეკლესია მთლად დაფარულია საფრესკო მხატვ-

დასასრული მე-5 გვერდზე

თეატრი და პუბლიკა

ინტერესებით, მოსწონთ

იმ საღამოს რადაცნაირად კმაყოფილები ჩანდნენ საგარეჯოს თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი მარინა შიოშვილი) მსახიობები – პატარძეულელი პატარებისათვის „მანანას ბატი“ ეჩვენებინათ და ნორჩ მაყურებელთა ემოციებს ვერ ივიწყებდნენ...

– ასეა ყოველთვის, როცა სპექტაკლს ვამთავრებთ, ჩვენს პატარა მაყურებელს უჩნდება სურვილი – ახლოს ნახოს პიესის გმირი, შეეხოს, დაელაპარაკოს, დაათვალიეროს. დიდი, ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებენ და არ ჩქარობენ დაშშვიდობებას. თუმცა, მშობლები უხერხულად გრძნობენ თავს, ბოდიშობენ – სახლში უამრავი სათამაშო აქვთ, მაგრამ, ის სახლის თოჯინა ხომ მას „უსიტყვოდ“ ეთამაშება – არ საუბრობს, მასში იმ ემოციებს არ იწვევს, რასაც თოჯინების თეატრის ბინადარი?! – მეუბნება თეატრის ხელმძღვანელი, – დამეთანხმებით, რომ სპექტაკლზე დასწრებით ბავშვი ზოგად განათლებას იღებს იმ თავისი სამყაროს შესახებ, სწავლობს მაყურებელთა დარბაზში ქცევის წესებს, უხარიათ ერთ დარბაზში ყოფნა და მოსწონთ სპექტაკლის შემდეგ შთაბეჭდილებების გაზიარება...

მარინა შიოშვილი 2002 წლიდან თოჯინების თეატრის ხელმძღვანელია. მანამდე საგარეჯოს კულტურის სახლში მუშაობდა ერთ-ერთი განყოფილების გამგედ, თუმცა, 2002 წლამდე ოთხწლიანი უხელფასობა გამოიარა, ვერ დაანება თავი თოჯინებს, ვერ უღალატა პატარებს. მოდიოდა, კერავდა, აკოწიწებდა თოჯინებს, რომლებიც შემდეგ სცენიდან სიხარულს ანიჭებდნენ პატარებს. მის მიერ სულშთაბერილმა თოჯინებმა ჩვენი რაიონის თითქმის ყველა სოფელი მოიარა, ყველა პატარა გაიცნო. 15-მდე სპექტაკლი დაიდგა. ხუთკუნჭულამ, უქნარამ, ჰიპოპოტამმა, მანანას ბატმა, ჩექმებიანმა კატამ, ჩექმებიანმა მელამ, ტყის თაგუნებმა, კეთილმა მელაკუდამ მოიარეს მაყურებელთა დარბაზი, ზოგან სკოლის დერეფნები, საკლასო ოთახები და თავი დაამახსოვრეს პატარებს. მარინას ყველა თოჯინა უყვარს, ვერც ერთი დამისახელა მათგან გამორჩეული – ყველა მიყვარს, ყველა ახლობელი და საყვარელია ჩემთვისო, – მითხრა.

თოჯინების თეატრის მსახიობები პაატა ქვლივიძე, ირაკლი ლიპარტელიანი, ფატი ღვინიაშვილი, მიშა ხოკერაშვილი გარდა მსახიობობისა, თითქმის ყველა იმ ფუნქციას ითავსებენ, რაც სპექტაკლის მომზადებას და საერთოდ, დარბაზში, მაყურებლის წინაშე წარდგენას სჭირდება. თავად მარინა რამდენ ფუნქციას „ითავსებს“, ვერც ჩამოგითვლით. ყველა დეკორაცია, გარდა ორი სპექტაკლისა „ჩექმებიანი კატის“ და თეატრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების დეკორაციებისა (ისინი საგარეჯოს სახალხო თეატრის მხატვარმა თამარ იორამაშვილმა მოამზადა), მიშა ხოკერაშვილის ავტორობითაა, აფიშებს თავად მარინა ამზადებს.

ახლა ახალი სპექტაკლის რეპეტიციისათვის იყვნენ შეკრებილი მსახიობები და თეატრის ხელმძღვანელი. თან პიესის მთავარი გმირების სახეებს ქმნის მარინა. ეს იქნება „პატარა პინგვინის თავგადასავალი“, რომელშიც პინგვინების გარდა თამაშობს თეთრი, პოლარული დათვი, თეთრი, პოლარული მელა. სცენარი თავად დაამუშავეს, თუმცა პიესის სცენარი თანდათან დახვეწას ითხოვს.

– გვინდა მაღალი ღირებულების სცენარი, მაღალი ღირებულების სპექტაკლი შევარჩიოთ, რადგან ჩვენმა სპექტაკლმა ბავშვზე აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა შეასრულოს, – მითხრა მარინა შიოშვილმა, – ბავშვს შეუმცდარი გემოვნება აქვს, მას ვერაფერში მოატყუებ, ერთმა ფრაზამაც შეიძლება მას ჩვენდამი „ნდობა“ დაუკარგოს, აღარ დაინტერესდეს სპექტაკლში მოვლენების შემდგომი განვითარებით. და რაც მთავარია, მათ მაღაზიასა და ბაზრობებზე ნაყიდი თოჯინები არ აინტერესებთ, ისეთი ინტერესით, როგორებიც ხელით იკერება, ჩვენთან სული შთაებერება, ძალიან დიდი ინტერესით მოდიან, ათვალიერებენ

ყველაფერს, მოსწონთ ის, რომ დარბაზი პატარაა მართლაც, სულ 77 ადგილია, მოსწონთ, რომ სცენა პატარაა და ჩვენი თოჯინებიც თბილად და ტკბილად ხვდებიან.

გვინდა, რომ მოვემზადოთ და საახალწლო გამოძახებები გავაკეთოთ მშობლებიდან, ან დაბადების დღეებზე მიიწვიონ ჩვენი თოჯინები, რითაც უფრო გავახალისებთ პატარებს... ვნახოთ...

დასასრული

ასე ნადგურდებოდა ჩვენი რაიონის ეროვნული საუნჯე

უჯარმის „უდაბნო“

რობით. ეს მხატვრობა იწყება თვით შესავლიდან, რომლის თავზეც წარმოდგენილია სამი ნიმბიანი წმინდანის სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში ფრესკების ქვემო ნაწილი კაცის სიმაღლეზე დაშლილია, მოხატულობის მთელი შინაარსი მაინც ნათლად ირკვევა.

საკურთხევლის კონქშია ე.წ. „ვედრება“. შუაში სახდარზე ანუ ტახტზე ზის იესო ქრისტე მღვდელმთავრის შესამოსელით და ჩვეულებრივი მრგვალი მიტრით ჯვარითურთ. მის გარშემო ბერძნულად, მთავრული ასოებით წერია: იესუს ხრისტოს, ე.ი. „იესო ქრისტე“. ქრისტეს მარცხნივ წარმოდგენილია ღვთისმშობელი, რომლის გვერდით ქართულად, მთავრული ასოებით წერია: „წმინდაი იოანე ნათლისმცემელი“. საკრებულოს მარცხნივ და მარჯვნივ, როგორც ეტყობა, წარმოდგენილი არიან მღვდელმთავარნი: ერთ მხარეს, სადაც სამკვეთლო ნიშია, სამი, ხოლო მეორე მხარეს – ოთხი; სულ შვიდი. მათგან ერთზე, მარჯვენა რიგიდან გარკვეით იკითხება ქართულად, მთავრული ასოებით: **ბასილი** შემდეგ დ. ბასილ დიდი (კესარელი) უნდა იყოს.

დასავლეთის კედლებზე დახატულია „დღე განკითხვისა“, ე.ი. „საშინელი სასჯელი“ ანუ „მეორედ მოსვლა“. მაღლა წარმოდგენილია სახდარი, ანუ ტახტი, რომლის მარცხნივ დგას მოხუცი ადამი, ხოლო მარჯვნივ ევა.მათ ქვეშ ორსავე მხარეს ანგელოზებია, სამღვდელო ოლარებით (ეპიტრახლებით), რომელთაც ხელში უჭირავთ გაშლილი წიგნი, შუაში კი სამ ანგელოზს უჭირავს სასწორი, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ არიან ტიტველა სულნი დასასჯელნი. ამ სურათის მარცხენა კუთხეში წარმოდგენილია წმინდა დედები, რომელთაც უჭირავთ ანთებული მნათობი, ხოლო მარჯვენა კუთხეში წმინდა მოდვაწენი და დედები. ამ სურათის ქვეშ დახატულია ოთხი სახე, რომელიც ძალიან დაზიანებულია და ეს ალბათ ოთხი მახარობლის სახეებს უნდა წარმოადგენდეს.

ამ დასავლეთის კედელზე წარმოდგენილი სურათებისკენ მიმართულია სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებისა და ჭერის სურათები. სამხრეთი (მარცხნივ) და ჩრდილოეთი (მარჯვნივ) ზემო რიგში წარმოდგენილია (ექვს-ექვსი) სახდარზე (ტახტზე) მჯდომარე წმინდანი, რომელთა უკან დგანან ანგელოზთა გუნდები. ეს, როგორც ეტყობა, ათთორმეტნი მოციქულნი უნდა იყვნენ. მათ ქვევით ყოფილა სხვა სურათები, რომელთაგან ჩრდილოეთისა მთლიანად დაზიანებულია, ხოლო სამხრეთისა ოდნავ ირჩევა. უკანასკნელზე, კარების გვერდით (მარცხნივ), გარკვევით მოჩანს ორი გუნდი და მესამის დასაწყისი, თითოში ხუთ-ხუთი პირია. პირველ გუნდში პირველ ორს მიტრები ჰხურავთ, დანარჩენ სამს კი შერჭობილი აქვთ თავში რაღაც ჯოხები, მეორე გუნდში ყველა გვირგვინოსანია. ამ გუნდების ზევიდან, კარების თავზე, იკითხება ქართულად, მთავრული ასოებით: გუნდი მოწამეთანი, მაშასადამე, მეორე გუნდი მოწამეთა გუნდია.

ჭერში წარმოდგენილია უზარმაზარი ჯვარი, რომელიც დასავლეთისკენაა მიმართული. მის მარცხნივ და მარჯვნით გამოყვანილია „ვნებათა იარაღები“ ე.ი. შუბი და ცული, რომელთა უკან ირიბად დგას თითო-თითო ანგელოზი, ისე, რომ მათი ფეხები ერთმანეთს ეხვევა რგოლში.

ამგვარად, მთელ ეკლესიაში სულ 11 სურათია: 1. შესავლის თავზე დგანან 3 წმინდანი (უცნობი); 2. საკურთხევლის კონქში (ვედრება); 3. და 4. საკურთხევლის კონქის ქვევით – მარცხნივ სამი და მარჯვნივ ოთხი მღვდელმთავარი; 5. და 6. დასავლეთ კედელზე ზევით „დღე განკითხვისა“ და ქვევით გუნდი წმინდათა და მოწამეთა; 9. და 10. ჩრდილოეთის კედელზე – ზემოთ 6 მოციქული, ქვემოთ ეგების ცოდვილნი და 11. ჭერში ჯვარი „ვნებათა იარაღებითურთ“.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ სურათებში ყველანი (ადამი, იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე წინამორბედი, მოციქულნი, მახარებელნი, მღვდელმთავარნი, ანგელოზნი) წარმოდგენილნი არიან ვარაყისფერის მომრგვალო ნიმბებით, ხოლო მართალნი სრულიად უნიმბოდ. სურათები გამოყვანილია მუქ (შავ) არეზე, ისე, როგორც მაგალითად, დავით გარეჯის მონასტერთან მდებარე ე.წ. „უდაბნოს“ წმ. ნიკოლოზისა და ხარების ეკლესიებში და თითქოს იმავე მხატვრის მიერ, ან იმავე სამხატვრო სკოლის წარმომადგენლის მიერ. მუქ არენაზე კი ნახმარია უმეტესად შემდეგი ფერები: მუქი ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, მწვანე და დარიჩინის ფერი, მუქი და ბაცი. თვით მხატვრობა შესრულებულია საკმაოდ მაღალი ხელოვნებით.

სამხრეთის მხარეს კედელზე ეტყობა ჭდეები. როგორც ჩანს, ამ ეკლესიის მხატვრობა მთლიანად წარმოადგენს ერთსა და იმავე მთლიან სიუჟეტს – „განკითხვის დღეს“, ე.ი. „საშინელ სამსჯავროს“, ანუ „მეორედ მოსვლას“. ასეთი მთლიანი სიუჟეტი კი, როგორც ნათლად გვიჩვენებს ნ. პოკროვსკის სპეციალური გამოკვლევა, თითქოს არა გვხვდება არამცთუ სლავიანურ-რუსულ, არამედ აგრეთვე თვით ბერძნულ მხატვრობაშიც და შეიძლება უნიკუმად ჩაითვალოს. იგი შეიძლება დათარიღებული იქნას დაახლოებით XIII-XIV საუკუნისა, ან ეგების XV საუკუნის ძეგლადაც“.

პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი თავისი ნარკვევის დასკვნით ნაწილში უჯარმის გამოქვაბულის ეკლესიის ფრესკებს დავით გარეჯის უდაბნოს სამხატვრო სკოლის შედევრს უწოდებს.

პროფესორმა ლ. მელიქსეთ-ბეგმა უჯარმის „უდაბნო“ მოინახულა 1924 წელს, ე.ი. 89 წლის წინ, რომლის დროსაც, მიუხედავად დაზიანებისა, მხატვრობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული, შემდგომ წლებში უგულო ადამიანებმა ადგილობრივი ხელისუფლების წაყრუებით უჯარმის „უდაბნო“ პირუტყვის სადგომად გადააქციეს და მიწასთან გაასწორეს უნიკალური კედლის მხატვრობა, ინტერესმოკლებული არაა ვიკითხოთ, რა გადარჩა და რამ მოაღწია დღემდე ამ შესანიშნავი მხატვრობიდან. უჯარმის მხატვრობა გადავამოწმე 1965 წელს და დარჩენილი მხატვრობის ფრაგმენტების ანალიზი გამოაქვეყნა გაზეთ „ივრის განთიადის“ 1983 წლის ნომერში.

ამჟამად საკურთხევლის კონქში შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სიუჟეტური კომპოზიცია „ვედრება“, ასევე შემორჩენილია იესო ქრისტეს თავის მარცხენა ნაწილი. მარჯვენა თვალი აქვს გამოთხრილი, წარწერები სულ მთლიანად წაშლილია.

1983 წლიდან გავიდა 10 წელი და კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს მუშაკებთან ერთად მოვინახულე აღნიშნული ძეგლი, რომელიც ისე დაენგრიათ „ოქროს მაძიებლებს“, რომ უჯარმის „უდაბნოს“ უნიკალური მხატვრობიდან აღარაფერი დარჩენილა. ასე ვუფრთხილდებით წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას!

შენობის შუა ადგილას ნახატები დაზიანებულია, აფსიდის კუთხეში შემორჩენილია სკამზე მჯდომი პიროვნება, რომელსაც წინ მაგიდა უდგას.

კარების თავზე შემორჩენილია 12 მოციქულის ფრაგმენტი, ნახატები უკანა მხარესა და მაღლა კამარაში საგრძნობლად დაზიანებულია.

ჩრდილოეთის კუთხეზე ორი წმინდანის თავი მოსჩანს ძლიერ დაზიანებული. ნახატების ფრაგმენტები ეტყობა აგრეთვე შესავალ კარებში.

ამგვარად უჯარმის „უდაბნოდ“ ცნობილი ეს მივარდნილი ეკლესია წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქართული კედლის მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ძეგლს, რომელიც მოუვლელობისა და უპატრონობის შედეგად თითქმის ხელიდან გამოგვეცალა. რაც დარჩა იგი გაფრთხილებას და დაცვას მოითხოვს, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ დატოვებული წმინდა რელიკვიები.

ალ. ელერდაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი

ხსოვნა

მალხაზ დურგლიშვილი



ცხოვრება ხშირად ისეთ განსაცდელს გვიწყობს, წარმოდგენაც რომ არ გვაქვს. არავინ იცის, წინ რა გველოდება, რა იქნება ხვალ, ან რა იქნება ერთი საათის შემდეგ. მხოლოდ ერთ წამში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და ყველაფერი თავდაყირა დადგეს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი უფლის ნებაა.

მალხაზი, რომელსაც მოფერებით მახოს ეძახდნენ, გამორჩეული ბავშვი იყო. გამოირჩეოდა თავისი გულკეთილობით, ზრდილობით, შრომისმოყვარეობით და ზოგადად, ყველას მიმართ პატივისცემით. მას ძალიან უყვარდა მშობლები, ბებია და პაპა, და-ძმა და ყველა თავისი ახლობელი. მან ყველა ძვირფასი ადამიანის ფასი იცოდა და რითაც შეეძლო აფასებდა კიდეც. პაპის მიმართ, რომლის სახელიც ერქვა, განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით გამოირჩეოდა. ყოველთვის ეხმარებოდა და მხარში ედგა საყვარელ პაპას. მახოს ვინც იცნობდა, ყველა პატივს სცემდა და ყველა დიდი სიყვარულით ექცეოდა. იცოდნენ, რომ ის ძალიან კარგი ადამიანი იყო. მეგობრებიც ბევრი ჰყავდა და მათაც ძალიან უყვარდათ. მის ირგვლივ მყოფ ყველა ადამიანს ახარებდა მახოს არსებობა მათ ცხოვრებაში, რადგანაც მისგან ყოველთვის სიკეთე იგრძნობდა. ყველა ხედავდა მასში იმ ღრმა კეთილშობილებას, რომელიც არ იმალებოდა.

2002 წლის 18 ივლისიც თითქოს ერთი ჩვეულებრივი დღე იყო როგორც მახოსთვის, ასევე ყველა მისი ნაცნობისათვის, მაგრამ, თურმე ეს ჩვეულებრივი დღე იმ ღრმა ჭრილობის მომტანი იყო, რომელიც სამუდამოდ დაემჩნეოდა ყველას... ამ საბედისწერო დღეს მახო სიმინდის გასათოხნად წავიდა მეგობრებთან ერთად, დაღლილებმა იქიდან წყალზე მისვლა გადაწყვიტეს და ყველაფერი სწორედ ამ საბედისწერო გადაწყვეტილებით დამთავრდა... თხუთმეტი წლის სიცოცხლემ წამში ჩაიარა... წამში დანმთავრდა მისი ლამაზი და ნანატრი სიცოცხლე... ძალიან ბუნდოვნად მახსოვს ის მწუხარებით აღსავსე დღე. მახსოვს, როგორ განიცდიდა ყველა მომხდარს და როგორ წუხდნენ. მისი ნათესავები გონს ვერ მოდიოდნენ, რომ ყველაფერი ცხადად ხდებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მწარე რეალობა იყო და მას ვერავინ გაექცეოდა...

ცხოვრების ასეთი ხანმოკლე გზის მიუხედავად, მან ბევრის გულში, სულსა და გონებაში წარუშლელი კვალი დატოვა. ამდენი ხნის შემდეგაც კი ყველა დიდი ტკივილით და ამავდროულად დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებს. დღესაც ცრემლი უბრწყინავთ თვალებზე, როდესაც მას წარმოიდგენენ და ხვდებიან, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდება. თუმცა და, ჩვენ, ადამიანები უძლურები ვართ უფლის და განგების წინაშე, როგორც უფალს სურს, ყველაფერი ისე იქნება, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მისი სულისთვის ვილოცოთ.

ოჯახი

ტყე ჩვენი სიმდიდრეა

ტყის მოფრთხილება უნდა

ტყე ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, ტყე უდიდესი ბუნებრივი ქარხანაა ჟანგბადის წარმოებისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სიცოცხლე ბიოსფეროში.

საქართველოს ტერიტორიის 1/3 ტყითაა დაფარული. გარდა ჟანგბადისა, ხე-მცენარეები გამოყოფენ ე.წ. ფიტოციდებს, რომლებიც სპობენ მავნე მიკრობებს და ხელს უწყობენ ჰაერის გასუფთავებას.

გარდა იმისა, რომ ხეები და ბუჩქები გამოიყენება ბაღთმშენებლობაში, ტყე გვაძლევს სათბობსა და სამშენებლო მასალას. რა მასალისგანაც არ უნდა იყოს აგებული შენობა, იატაკის, კარების და ფანჯრების გარეშე წარმოუდგენელია. ხშირად შენობა მთლიანად ხისგან კეთდება და ხის მასალითვე იხურება. ხისგან ამზადებენ მანქანებისა და ხელსაწყოების ნაწილებს, ქაღალდს, სპირტს, ფისს, სკიპიდარს, კუპრს, ხოლო ზოგიერთი ხე და ბუჩქი სამკურნალო ნივთიერებასაც შეიცავს. ასეთებია: ასკილი, აკაცია, აკაკი, არყი, ბროწეული, დიდგულა, ევკალიპტი, ვერხვი, ვაზი (კრიკინა), ზეთის ხილი, ზღმარტლი, თხილი, თრიმლი, თუთა, თუთუბო, თაგვისარა, იფანი, კოწახური, კუნელი, კაკალი, ლედვი, ლერწამი, მოცვი, მაჟალო, მოცხარი, მურყანი (თხმელა), მუხა, პანტა, ჟოლო, სვია, საკმლის ხე (საღსადაჟი), ტირიფი, უნაბი, უთხოვარი, ფითრი, ფიჭვი, ქაცვი, ღვია, შინდი, ცაცხვი, ძეძვი, ძახველი, წაბლი, წიფელი, ჭნავი (ცირცელი), ჭყორი, ხეჭრელი, ხურტკმელი, ხეშავი და სხვა. აი, ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ხეებისა და ბუჩქებისა, რომლებიც გამოყენებულია სახალხო მედიცინაში სამკურნალოდ.

ამით არ ამოიწურება ტყის მნიშვნელობა.

ტყე სიცოცხლის ელექსირია. იგი ატმოსფეროს ამდიდრებს ჟანგბადით. ამ თვალსაზრისით 1 ჰა ტყეს 20 ჰა მდელო ვერ შეცვლის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი შემადგენლობის 1 ჰა ტყე წლის განმავლობაში ასუფთავებს არანაკლებ 18 მილიონ კუბომეტრ ჰაერს და ერთ საათში შთანთქავს იმდენ ნახშირჟანგს, რამდენსაც ამავე დროის მანძილზე ამოისუნთქავს, 200 კაცი. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთლოვანები შთანთქავენ მეტ ნახშირჟანგს, ვიდრე წიწვიანები.

ტყის ჰაერი მდიდარია ოზონით, ოზონი დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე, აუმჯობესებს მის თვითგანწყობილებას.

ტყის უდიდესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს დაშრობისგან მდინარეებს, წყაროებს, მინერალურ წყლებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. ტყე იცავს ჩვენს ქვეყანას ზვავისა და მეწყერისაგან, ქარისა და გვალვისაგან. საქმე ისაა, რომ ტყის ნიადაგი ღრუბლივით ისრუტავს თოვლისა და წვიმის წყალს, სიღრმეში ჩააქვს იგი და თანდათანობით აწვდის მდინარეებსა და წყაროებს. ვინ არ იცის, რომ იქ, სადაც ტყე მთლიანად იჩეხება, შრება წყაროები, მდინარე კლებულობს, ხშირია წყალდიდობა და მეწყერი.

გაჩეხილი ტყის ღია ადგილებში თოვლი სწრაფად დნება, ნიადაგი ისრუტავს თოვლისა და წვიმის წყლის მხოლოდ მცირე ნაწილს, უდიდესი ნაწილი კი მთლიანად სწრაფად ჩამოდის ღელეებში, შემდეგ უერთდება მდინარეებს, რომლებიც გადმოდიან ნაპირებიდან და თან მიაქვთ ფესვიანი ხეები, საკვები ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგის ზედა ფენები, ზოგჯერ იტაცებენ ნათესებს და ნარგავებსაც. ასე ჩნდება წყალდიდობა, რომელსაც მოსდევს მეწყერებისა და რიყეების გაჩენა. ვინ მოთვლის რამდენი ვენახი, ბაღი და ნათესი წაუღია მეწყერს, რამდენი ხიდი და გზა დაუზიანებია. ამის მაგალითები ჩვენს რაიონშიც აღინიშნება.

მდინარეთა წყლის თანაბარ დონეს კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროსადგურების ნორმალური მუშაობისათვის, სარწყავი წყლის დროული და საკმარისი რაოდენობით გამოყენებისათვის. ტყის მნიშვნელობა წყლის მოწესრიგების საქმეში ძალიან დიდია.

ტყე იცავს აგრეთვე მოსავალს ქარის მავნე გავლენისაგან. ქარი აშრობს ნიადაგს და ზოგჯერ იმდენად ძლიერად, რომ მინდვრის კულტურების მოსავალი მთლიანად იღუპება. ქარის მოქმედების შესანელებლად სათანადოდ შერჩეული ხეებისა და ბუჩქებისაგან აშენებდნენ ქარსაფარი ტყის ზოლებს. ასეთი ზოლები ანელებენ ქარის მოქმედებას და ხელს უწყობენ მოსავლის დაცვას.

ტყე ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის მძლავრი წყაროა. ტყე ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს, იგი ლექსისა და მუზის სათავეა, რომელსაც ბევრმა ხელოვანმა მწერალმა, პოეტმა უმღერა. ვინ არ მოხიბლულა ვაჟას კალმით აღწერილი „ტყის ტირილითა“ და „ხმელი წიფელის“ ჩივილით,,,მინდიას მისნობით“ თუ „ბუნების მგოსნის“ „თავყრილობით“, ლეონიდ ლეონოვის „რუსული ტყით“, დიდი ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი აღწერდნენ ბუნების შთამბეჭდავ სურათებს – არაგვის მობიბინე ნაპირებსა და ყვარლის მთებს, „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტ“ სამშობლო მხარეს და „მოდუდუნე მტკვარი ანკარას“. ამ დიდ საუნჯეს გაფრთხილება, მოვლა და გამრავლება უნდა. ადამიანის თვალსა და გულს ახარებს კარგად მოვლილი პარკი და ლამაზი ტყე. კარგი პარკი, კარგი ტყე მარტო ქონება როდია, არამედ ქვეყნის ეშხი და ჯავარია, ხელთუქმნელი ჩუქურთმაა, აუწონავი სიმდიდრე, რომელიც გვახარებს, გვამშვენებს და გვახალისებს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ტყეს, ამ დიდ საუნჯეს მტერ-მოყვარე ჰყავს, გვახსოვდეს, რომ ადამიანს თავისი არაწესიერი საქმიანობით შეუძლია ზიანი მიაყენოს ტყეს და პირიქით – წესიერი მოქმედებით სარგებლობა მოუტანოს მას. ტყე რასაკვირველია უნდა მოიჭრას და გამოყენებულ იქნეს საშენ მასალად და საწვავად. ტყე ცოცხალი ორგანიზმია და მოუჭრელ-მოუვლელად ისე დაბერდება და გადაშენდება, როგორც ვაზი გაუსხლავად. ენერგეტიკული კრიზისისა და სიდუხჭირის წლებში ვინ დაუშლის გლეხკაცს წელიწადში 5-10 კუბურზე მეტი შეშის მოჭრას ოჯახის საჭიროებისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყის შემდგომი არსებობა მის გონივრულ გამოყენებაზეა დამყარებული. და ცული უნდა იყოს ნახმარი ტყეთსარგებლობის მეცნიერულად დადგენილი წესებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტყის ბუნებრივი განახლება და მისი აღდგენადი რესურსებით უწყვეტი სარგებლობა. ტყის რესურსებით წესიერი, გეგმაზომიერი გამოყენება არის ბუნების დაცვის აქტიური ფორმა. ასე, რომ, გავუფრთხილდეთ მწვანე ნარგავებს, გავუფრთხილდეთ ერის საუნჯეს – ტყეს.

ანზორ ჩაფიძე,

დამსახურებული მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბუნების ქომაგის ოქროს საპატიო ნიშნის კავალერი.

გავუფრთხილდეთ და

მომავალ თაობებსაც ვასწავლოთ

ტყის მოფრთხილება



გასული საუკუნის 80-იან წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 50 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი ტყეს ეკავა. მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა ტყის სანიტარულ ტყე-კაფს. მას ტყის მოვლითი დანიშნულება ჰქონდა და მომხმარებლისათვის საწვავად იყო პირდაპირ გამიზნული. ასეთი ტყე-კაფები სპეციალურად იყო მონიშნული და დიდი ზედამხედველობაც იყო მასზე დაკისრებული. მაშინ რაიონში 75 ტყისმცველი იყო, აღარ ვსაუბრობ სატყეო უბნებსა და იქ მომუშავე კიდევ სხვა პერსონალზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტყითსარგებლობის გზის გაყვანა-გაკეთებას. ახლა კი რა ხდება?! ერთ პიროვნებაზე კუბატურის შეუზღუდაობამ ტყე დაღუპვის პირამდე მიიყვანა, ტყეში გზების გაყვანამ სურვილისდა მიხედვით, ტყეზე დამანგრეველი გავლენა მოახდინა. ახლა ხეებს წყლის სათავე-ნაგებობების ტერიტორიაზეც კი ჭრიან, ტყის ადგილას მდელოები გაჩნდა, რომელიც ვერ შეასრულებს იმ დანიშნულებას, რაც ტყეს აქვს ჟანგბადის, წყლის შექმნაში, კლიმატის გაუმჯობესებაში.

რა სიკეთე მოიტანა რეინჯერთა სამსახურმა? გეტყვით, რომ არაფერი. 11 რეინჯერი არ არის საკმარისი თუნდაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეს არსებული ტყეების ზედამხედველობისათვის. საჭირო იყო, გარემოს დაცვის სამინისტროს თავადვე გაემკაცრებინა ის ღონისძიებები და მისაღები ზომები, რომელთა განხორციელებაც თავისი სიმკაცრით როგორმე შეაჩერებდა უნებართვო ჭრებს.

დღეს ტყე შველას ითხოვს. ამას ბევრი ვერ გრძნობს და ვერ ხედავს, რადგან ტყეში ერთიდაიგივე ადამიანები აწარმოებენ უნებართვო თუ ნებადართულ ჭრებს, მაგრამ ნელ-ნელა ვგრძნობთ უნებართვო ჭრების, ტყის განადგურების შედეგს – იკლო სასმელი წყლის დებეტმა, დაიკარგა წყლები, იმატა სხვადასხვა დაავადებებმა, ყველა ასაკის ადამიანი უჩივის ჯანმრთელობას, შეიცვალა კლიმატი, ხშირად გვიტევს წყალდიდობა. იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ და გადავდგათ გონივრული ნაბიჯები ტყის შესანარჩუნებლად?!

არჩილ დიდეგულიძე,

მეტყევე-ინჟინერი.



მართლმადიდებლობა

ვილოცოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც წმინდა დედები გვირჩევენ

წმინდა მამების გამონათქვამები ხშირად გვეხმარება ცხოვრების წესის ზუსტად არჩევაში, არანაკლები მნიშვნელობა აქვს წმინდა დედების რჩევებსაც, რომლებსაც ახლა გთავაზობთ:

დედა ანტონია *(კავეშნიკოვა). დაიბადა 1904 წლის 12 დეკემბერს, რუსეთში, რიაზანის გუბერნიაში, გასული საუკუნის 60-იან წლებში კომუნისტები დევნიდნენ, მაგრამ ის ჯიუტად ლოცულობდა მართლმადიდებულური სამყაროსთვის, რუსეთისთვის და მასთან მისულ ადამიანებს რჩევა-დარიგებას აძლევდა. (ანტონი – „სამაგიეროდ მიღებულს“ ნიშნავს).*

* ვინც გაწყენინათ, მათთვის დაჩოქილმა ილოცეთ, 40 მეტანია გააკეთეთ მტრებისათვის, თქვენი მაწყენარისა და მოძალადესათვის.

* საკვები მხოლოდ ჯვრის გადასახვით უნდა მიიღოთ, მოვა დრო, ყველაფერი მოწამლული იქნება, მაგრამ თუ რწმენით გადასახავთ ჯვარს, მაშინ იცოცხლებთ, ჯანმრთელი იქნებით. ჯვარს დიდი ძალა აქვსო.

* ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საათს, როცა დრო გაქვს, მაშინ ილოცე. ძალიან კარგია ღამის 12 საათზე ლოცვა, რადგან ჩვენში, მართლმადიდებლებში ამ საათზე სამი დიდი დღესასწაული აღინიშნება: აღდგომა, ნათლისღება და შობა. 12 საათზე წაიკითხეთ „მეუფეო ზეცათაო“ – 48-ჯერ, „მამაო ჩვენო“ – 48-ჯერ, „მოწყალებისა კარი გაგვიღე“ – 48-ჯერ, 40 მეტანიით.

* როცა ცუდად ხართ ან გიჭირთ, ან მტრისგან თავდასხმებია – 40-ჯერ იკითხეთ დღეში 90-ე ფსალმუნი.

* ყველა მართლმადიდებელს სახლში უნდა ჰყავდეს ღვთისმშობლის ხატი „დაურღვეველი კედელი“ და „კალუგისა“.

* შუაღამიდან 3 საათამდე წმინდა ცა გახსნილია. ყველაზე ძვირფასი ამ საათებში ლოცვაა. კარგია 3 დიდი მეტანიის გაკეთება ლოცვით... მხსნელის, ღვთისმშობლისა და მფარველი ანგელოზის მიმართ.

* ვილოცოთ ბრმებისთვის, ყრუ-მუნჯებისთვის, ტანჯული, უსახლკარო და მშიერი ხალხისათვის, მათთვის, ვისაც მლოცველი არ ჰყავს. ამის შემდეგ მოიხსენიეთ ახლობლები და ნათესავები, თავისთვის, გარდაცვალებულთათვის და მათთვის, ვინც უნდა დაიბადოს.

* ზეპირად უნდა ვიცოდეთ „მამაო ჩვენო“, „ღვთისმშობელო, ქალწულო გიხაროდენ“, „მრწამსი“, 50-ე ფსალმუნი, რომელიც დიდი ლოცვაა.

* კანდელის ანთებისას ვლოცულობთ: ღმერთო, აღანთე ჩემი სულის მიმქრალი კვარი და კეთილისმყოფელი სულით განმანათლე მე, შენი ქმნილება, რამეთუ ხარ კეთილი და კაცთმოყვარე. ამინ.

* თუ ეკლესიაში არ იყავი წირვაზე, 40-ჯერ წაიკითხე „მამაო ჩვენო“.

* დილით უზმოზე დალიეთ ნაკურთხი წყალი. მისი მიღება შეიძლება ნაჭამზეც, მაგრამ, არა ნათლისღების წყლის.

* ამ დროში რომ გადარჩეთ, აუცილებლად ატარეთ ნათლობის ჯვარი, მონასტრისეული, ან წმინდა ნაწილებიანი ჯვარი. წმინდა ნაწილების ნაცვლად ჯვარში შეიძლება ჩადოთ ათონის მონასტრის საკმეველი, ან ატაროთ სარტყელი, რომელზედაც დაწერილია ლოცვა: „რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისათა“.

* სულის გადარჩენისა და სიმშვიდისათვის უნდა ატაროთ ჯვარი და ემთხვიოთ მას ლოცვით, რომელიც სქიმიღუმენმა საბამ მოგვცა: „უფალო, გადმოდვარე შენი უწმინდესი სისხლის წვეთი ჩემს ცოდვითა და ვნებებით გამხმარ გულში, სულიერი და ხორციელი განწმენდისათვის. ამინ“ და ამ ჯვარს უნდა ემთხვიოთ თქვენი ოჯახის წევრებისთვისაც და მტრებისთვისაც.

* თუ ბავშვი ავად გახდება, 7-7-ჯერ უნდა წაიკითხოთ 90-ე ფსალმუნი და „მამაო ჩვენო“. თუ რაიმე სერიოზულია, მაშინ 12-12-ჯერ წაიკითხოთ.

* თუ ადამიანს უბედურება შეემთხვა, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა იკითხოს 90-ე ფსალმუნი.

* თუ ბავშვები მოუსვენრები და ავადმყოფები არიან, მაშინ მძინარეს უნდა წავუკითხოთ ლოცვა „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“ და სამი კვირა ზედიზედ ვაზიაროთ. ამ დროს დედის ლოცვა ყველაზე დიდი ლოცვაა.

საძმის დაწყების წინ:

ჯერ აიღე კურთხევა მოძღვრისგან, ლიტურღიაზე გადაეცით საჯანმრთელოზე მოსახსენებელი ამ საქმეში მონაწილეთათვის; გადაიხადეთ პარაკლისები: მხსნელისადმი, ღვთისმშობლისადმი, მფარველი ანგელოზისადმი ან მთვარანგელოზ მიქაელისადმი (მათ აქვთ ღვთისგან კურთხევა მოგვეხმარონ რთულ საქმეში); მოწამე იოანე მეომრის, ან დიდმოწამე მძლე გიორგის ან მოწამე ტრიფონისადმი (ყველა მათგანს აქვს ძალა დაგვეხმაროს საქმეში და აგვაშოროს წარუმატებლობა); წმინდანისადმი, რომლის სახელსაც ატარებ. იმარხულე და თვითონ ილოცე, სერიოზულ საქმეზე წადი უზმოზე, მარტო სეფისკვერი მიიღე ნაკურთხი წყლით. იმეორე იესოს ლოცვა და ლოცვა, რომელიც გულში შემოვა.

* როცა ავადმყოფის სანახავად მიხვალ, წაიკითხე ლოცვა ავადმყოფთათვის, ან დაუჯდომელი და აუცილებლად დაანთე წითელი (საადგომო) სანთლები. თავიდან რომ ავიცილოთ საფრთხე, მძიმე დაავადება, ძლიერი დაღვრემილობა და ცდუნება, აუცილებლად ავანთოთ აღდგომის ან იერუსალიმის სანთელი.

* ავადმყოფის გარშემო უნდა დადიოდეს ანთებული სანთლით ვინმე, საადგომო ტროპარით: „ქრისტე, აღსდგა მკვდრეთით“. (უნდა წაიკითხოს) და მიუმატოს ლოცვა „ქრისტე აღადგინე მკვდრეთით, აღადგინე შეჭირვებისგან, მონა ღვთისა (სახელი) ამინ“ ასე სამჯერ. თუ ავადმყოფი მარტოა, მაშინ თვითონ გაიმეოროს სამჯერ ეს ლოცვა.

ფეხბურთი

ბადიაურელი მოსწავლეები კახეთის რეგიონულ პირველობაში მონაწილეობენ

ბადიაურის საჯარო სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელმა მალხაზ ნიჟარაძემ, დაიწყო თუ არა მუშაობა ამ სასწავლო დაწესებულებაში, პედაგოგობასთან ერთად სკოლის ბაზაზე ფეხბურთელთა გუნდის შექმნა დაისახა მიზნად და მალე ეს ჩანაფიქრი რეალობადაც აქცია. უფრო მეტიც, ვაჟებთან ერთად, მან სპორტის ამ სახეობაში აგერ უკვე თითქმის 1 წელია აქაური გოგონებიც ჩაბა, რომლებსაც სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში აღებინებს ხოლმე მონაწილეობას. 15 ნოემბერს კი, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მალხაზი მასწავლებელმა სკოლის მე-5-6 კლასების გოგო-ბიჭები სიღნაღში ექსკურსიაზე წაიყვანა, სადაც ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების გარდა, „მხიარული სტარტების“ ფარგლებში სიღნაღის II საჯარო სკოლის შესაბამისი ასაკის ბავშვებს გაეჯიბრნენ: ბურთის ტარებაში, გადაგორებაში, ზუსტად ტყორცნაში, ბაგირის გადაძალვასა და ა.შ. ამის შემდეგ ბადიაურელი მოსწავლეები მასპინძლებს ფეხბურთშიც გაეჯიბრნენ, სადაც გოგონათა გუნდმა 4:1 დაამარცხა სიღნაღელი თანატოლები, ვაჟებში კი სიღნაღელებმა იმარჯვეს და 3:1 მოუგეს ბადიაურელებს. ამ მატჩების შემდეგ ბადიაურელმა მოსწავლეებმა ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერი მოინახულეს, წმინდანის სახელზე სანთლები დაანთეს.

როგორც ამ ექსკურსიის შემდეგ მალხაზ ნიჟარაძემ გვაცნობა, მას სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებული ჰქონია ვაჟ ფეხბურთელთა ორი ასაკობრივი – 2001-2002 და 2003-2004 წლიანების გუნდი. მათგან უფროსი ასაკის გუნდი მონაწილეობას იღებს კახეთის პირველობაში (კახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა როსტომაშვილი). ამ პირველობაში, რომლის I წრე, 14 დეკემბერს მთავრდება, სკოლის გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც ყანდაურელი, შიბლიანელი და აზერბაიჯანელი ეროვნების მოსწავლეები მონაწილეობენ უკვე ნათამაშევი აქვს 6 ტური, საიდანაც სამი მოგება, ორი წაგება და ერთი ფრე აქვთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შეჯიბრში კახეთის დანარჩენი რეგიონებიდან სპეციალიზებული და სპორტსკოლების გუნდები იღებენ მონაწილეობას, ჩვენი მოსწავლეების შედეგები არც თუ ისე ურიგიაო – გვიყვება გუნდის მწვრთნელი, – არსებობის მცირე დროის მიუხედავად უკვე გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელებიც, რომელთაც შანსი აქვთ მოხვდნენ კახეთის რეგიონულ ნაკრებში, რომლის მოთამაშეთა შერჩევა ამ პირველობის დასრულების შემდეგ მოხდება. ესენი არიან უფროს ასაკში საბა სეთურიძე (თავდასხმა) და მეკარე ელვინ საფაროვი. პატარებში „ბომბარდირთა“ დავაში პრეტენზიებს კი თურმე ლაშა ოზგელდოვი აცხადებს. ვნახოთ, როგორ გაუმართლებთ მათ მომავალში. იმედი ვიქონიოთ, ისინი გაამართლებენ თავიანთი მწვრთნელისა და მასწავლებლის იმედებს და მათ სახელებსაც ვიხილავთ რეგიონის ნაკრების შემადგენლობაში.

ბივი დაბახიშვილი

ინგლისის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ საგარეჯოელი მოთამაშე

ინგლისის ჩემპიონშიფის ცნობილი კლუბის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ საგარეჯოელი ფეხბურთელის რამაზ დარბაისელის შესახებ ამ სამიოდე კვირის წინ დაიწერა გაზეთ „ლელოში“. საქართველოს გარეთ, მით უმეტეს ინგლისში ქართველი ფეხბურთელის თამაში მეტად საინტერესოა და ცხადია, უყურადღებოდ არ დავტოვებდით ჩვენი თანამემამულის ამ წარმატებას, რასაც ალბათ ინტერესით გაეცნობიან ფეხბურთის საგარეჯოელი ქომაგებიც.

ამ ქვეყანას 19 წლის წინ, საგარეჯოელი გიორგი და ნანა დარბაისლების ოჯახში მოევლინა. 9-10 წლის ასაკში მამამ ფეხბურთის საიდუმლოებების შესასწავლად საგარეჯოს ფეხბურთის გუნდ „საგარეჯოს“ პატარების გუნდში, მწვრთნელ გია ილაურთან მიიყვანა. ამ გუნდის დაშლის შემდეგ კი „ნორჩ დინამოში“ მწვრთნელ ზორბეგ ებრალიძესთან ვარჯიშობდა. აქედან, საგარეჯოელი გელა ხებრელაშვილის (ფეოლა) ხელშეწყობით „ვიტ-ჯორჯიაში“, მწვრთნელ ზაზა დიდებაშვილთან გადაინაცვლა, სადაც როგორც ის „ლელოსთან“ მიცემულ ინტერვიუში იხსენებს, ასაკობრივ ნაკრებებში მხოლოდ ერთხელ მიიწვიეს. „ვიტჯორჯიაში“ მთელი სამი წელი საგარეჯოდან დადიოდა. მაშინ მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი იყო და ამ დროს კახეთის 300 ბავშვიდან ხუთი შეარჩიეს. საგურამოში „ლოკომოტივის“ ბაზაზე დასკვნითი, ბოლო შერჩევის წინ ხელი მოიტეხა და ნაკრების გარეთ დარჩა. მაგრამ, არც ამ დროს მიუტოვებია გელა ხებრელაშვილს, რომელიც იმ დროს ნინოწმინდელ ბავშვებს ავარჯიშებდა ფეხბურთში. მათთან ერთად მონაწილეობას აღებინებდა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის თასზე გამართულ შეჯიბრებებში. დროებითი, ერთწლიანი შესვენების შემდეგ, როცა მისი მშობლები ლონდონში გადავიდნენ, საგარეჯოელ „მარადონას“ შანსი გაუჩნდა იქაურ გუნდში სათამაშოდ და ისიც ინგლისში გადავიდა, სადაც აგერ უკვე წელიწადნახევარია თამაშობს.

– „თავიდან ნახევრად პროფესიული „სემპიროს“ ყველაზე მაღალი ლიგის „ლონდონტაიგერსის“ ძირითად გუნდში ვთამაშობდი, – იხსენებს რამაზი, – ამ ლიგაში გამარჯვებული პროფესიონალებში გადადის. არ ვტრაბახობ, მაგრამ, შარშან კარგი შედეგი მქონდა და წელს „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ აკადემიაში ამიყვანეს, სადაც 17-დან 19 წლამდე ფეხბურთელები თამაშობენ. 19 წელი ფეხბურთელისათვის პატარა ასაკი არ არის. ცხადია, პროფესიულ კლუბში ჩარიცხვა მინდა და და შანსიც მაქვს. „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ არანაირი ხელშეკრულება არ გამიფორმებია, რადგან ჩემი საბუთები ჰომოფისში გავაგზავნე და ველოდები პასუხს, რომ თამაშის უფლება მივიღო“. რაც შეეხება თამაშის სტილს, როგორც ის აცხადებს, – თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში შეტევის ყველა პოზიციაზე, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფლანგზე, ცენტრალურ თავდასხმაში.

19 წლის საგარეჯოელი ფეხბურთელი კარიერის ძიებასთან ერთად არც სწავლა-განათლების საქმეს ივიწყებს. საგარეჯოს IV საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად სწავლას კემბრიჯის უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში აგრძელებს, სწავლობს „სპორტი და აქტიური ცხოვრების“ ფაკულტეტზე. გასულ წელს აიღო აღნიშნული უნივერსიტეტის ინგლისური ენის ოთხი სერტიფიკატი, ასევე სამი სერტიფიკატი – ფუნქციური მონაცემების კვალიფიკაცია, ინფორმაცია და ურთიერთობათა ტექნოლოგიაში, მათემატიკასა და ფინანსების კვალიფიკაციაში.

გ. დაბახიშვილი

კულტურის კერა

ინტერესი, სურვილი კვლავ დიდია

სოციალურმა ქსელებმა ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახლიდან გაუსვლელობას, საზოგადოებასთან ცოცხალ ურთიერთობას მოწყვიტა. თითქოს თავისი დანიშნულება დაეკარგა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს – კულტურის კერებს, მაგრამ საკმარისია, სწორედ ამ კერებში ღონისძიების მოსაწყობი სამზადისი დაიწყოს, რომ მხოლოდ ბავშვს არ უჩნდება სურვილი მასში მონაწილეობის მიღების.

– მიზეზი მარტივია, ადამიანებს, რომელი თაობისაც არ უნდა იყოს, სურვილი აქვს იმ სიხარულის ფართო წრეში გაზიარებისა, რასაც ღონისძიების ერთობლივ, ცოცხლად ჩატარებას მოჰყვება, – მითხრა საუბარში თოხლიაურის საკლუბო მუშაობის სპეციალისტმა **ლამზირა ზაქაიძემ**, – ჯერ არ მომიმზადებია არც ერთი ღონისძიება, რომ თავიანთი სურვილით არ მოსულიყვნენ სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები, დიასახლისები, სამსახურებში დასაქმებული ადამიანები. აქ ძალიან უყვართ პოეზია, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ქართული სიმღერები და ცეკვები. ჩვენთან ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჰარმონიაში“ თაობები გაიზარდნენ. ბოლო 10 წელია, თბილისიდან მოწვეული გვყავს ქორეოგრაფი გიგლა ნაჭყებია და ერთად ვამზადებთ თოხლიაურელ ნორჩ მოცეკვავეებს იმ ფესტივალებისა და კონკურსებისათვის, რომელშიც მუნიციპალიტეტის სხვა ანსამბლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ და წარმატებულადაც. თუმცა, მართალია, ძირითად ანსამბლში სკოლის

VII-XII კლასების მოსწავლეები არიან გაერთიანებულები, ანსამბლის სოლისტები გიორგი ანდრიაშვილი, ანტონიო ყულოშვილი, ლიზი ახალკაციშვილი, თამუნა გურაშვილი თავიანთი მონდომებითა და ნიჭით, ვფიქრობ, დიდ მოწონებას დაიმსახურებენ არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ასევე, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი აქვს აკორდეონზე დაკვრის რომეო ყულოშვილს. გვყავს ცეკვის მოყვარულთა ჯგუფიც, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ მათთვის საყვარელი და საინტერესო ცეკვები შეისწავლონ და შემდეგ საკლუბო ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა.

ზაფხულში სოფელში დიდი სიხარული და მოწონება გამოიწვია სიყვარულის, სიკეთის, სილამაზისადმი მიძღვნილმა კაფე-საღამომ, რომელშიც მონაწილეობდა თითქმის ყველა ასაკის თოხლიაურელი. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამ ღონისძიებაში მოწვეულმა სტუმრებმაც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა. ნინოწმინდელმა პოეტმა შალვა ოკინაშვილმა მოგვხიბლა თავისი ლექსებით, საგარეჯოდან მოწვეულმა სტუმრებმა ქართული ცეკვებით. ლექსებსა და კაფიებში არც თოხლიაურელები მზია ჭყრუნიშვილი და ნელი ბუგეჩაშვილი ჩამორჩნენ. მაყურებელთა მოწონება ხვდა წილად ღონისძიების მონაწილეს „სიყვარულის დედოფალს“ მარიამ პაპუაშვილს. ამ ღონისძიების მომზადებაში მხარში გვედგნენ მშობლები, თოხლიაურის რწმუნებული ვაჟა გიგაური, რწმუნებულის თანაშემწე მზია ჭყრუნიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საინტერესო, სახალისო ღონისძიების მომზადების და ჩატარების სურვილი საკლუბო მუშაობის ყველა სპეციალისტს გვაქვს, მაგრამ მოგეხსენებათ, ღონისძიების ნორმალურად მომზადებას და ჩატარებას გარკვეული ხარჯები სჭირდება. მართალია, მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ საკითხის მოგვარებაში ერთგულად გვიდგას მხარში, მაგრამ როცა ღონისძიება მასიურად ტარდება, ძნელი ხდება გარკვეული ხარჯების გაღება. ახლა ახალი წელიც ახლოვდება, თუმცა არც სხვა სამომავლო ღონისძიებები იქნება ინტერესმოკლებული. დიდი სურვილი მაქვს მოვიწვიო ის წყვილები, რომელთაც „ოქროს ქორწილის“ აღსანიშნავი თარიღი უახლოვდებათ...

ვნახოთ...

ოდესმე დავიწყებით არ იგინდება

„ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“

2013 წლის 15 ნოემბერს საგარეჯოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მოაწყო მწერლის, პოეტის, კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თაყვანისმცემლები, მისი ნიჭის დამფასებელი საგარეჯოელები. თურმე რამხელა სიყვარული ყოფილა ხალხში. როცა საღამოს ჩატარების იდეა დაიბადა, მაშინ არც ვიცოდით, რომ გოდერძის საგარეჯოში უამრავი მეგობარი და ნათესავი ჰყოლია, მისი მეუღლე ნინო მელაშვილი თითქმის აქ გაზრდილა. საღამოზე თბილისიდან სტუმრად იყვნენ ჩამოსული ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი, გოდერძის პედაგოგი, კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი, პოეტი მარიამ წიკლაური. გოდერძიზე დაწერილი წიგნის „ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“ ავტორი ნინო ზედელაშვილი, კრიტიკოსი მაია წიკლაური, მეგობარი და თანაკურსელი თეატრალური ინსტიტუტიდან მსახიობი გუჯა ბურდული და ილო ფალავანდიშვილი.

საღამო გახსნა და სტუმრებს სიტყვით მიმართა საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა, სიტყვით გამოვიდნენ: მარიამ თედიაშვილი, მანანა სტეფანიშვილი, მ. შაქარაშვილი, ვ. კერატიშვილი, თ. ურდულაშვილი. საკუთარი ლექსი მიძღვნილი გოდერძი ჩოხელისადმი წაიკითხა ნათელა დიღმელაშვილმა. სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი დათო ტიგინაშვილი, პედაგოგი და მსახიობი ნანული ბილანიშვილი.

მოგონებებით გამოვიდნენ ჩამოსული სტუმრები, გაიხსენეს გოდერძის ცხოვრებისეული ეპიზოდები. ბუბა ხოტივარმა აღნიშნა, რომ ბევრ რამეს, რასაც გოდერძი აკეთებდა, მხოლოდ მისი სიკვდილის მერე მოჰყვა აღიარება.

სახალხო თეატრის მხატვარმა თამარ იორამაშვილმა ამ ღონისძიებისათვის შესანიშნავად გააფორმა მხატვრულად ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი. სპეციალურად ამ დღისათვის დახატა ტილო „გუდამაყრის ხეობა“, რაც არც სტუმრებისთვის დარჩა შეუმჩნეველი. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ გოდერძისთვის გუდამაყრის ხეობა „მთების ყდიანი წიგნი იყო, რომელსაც დაბადებიდან კითხულობდა“.

დასასრულს, საგარეჯოს ბიბლიოთეკის მენეჯერმა ლია გოდერძიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს მარიამ თედიაშვილს, ნინო ესაიაშვილს, დამსწრე საზოგადოებას, ცენტრალური ბიბლიოთეკის სახელით საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელს, ღონისძიების ჩატარების დროს გვერდში დგომისათვის და მასში მონაწილეობისათვის.

დრო შეუმჩნევლად გაილია და მხოლოდ ბინდის დადგომამ აიძულა ნადი გუდამაყრელი ვაჟკაცის გოდერძი ჩოხელის თაყვანისმცემლები დამშვიდობებოდნენ პოეტის შემოქმედებას.

ლია ურდულაშვილი,
ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

წიგნის პრეზენტაცია

პოეტი, რომელიც შეგვართ, ლექსები, რომლებსაც კითხულობენ

7 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ჩვენი თანამემამულის, პოეტ რომან ზუკაკიშვილის ახლადგამოსული წიგნის „ყოველდღიური სასწაულები“ და ვაჟა დურგლიშვილის ერთობლივი წიგნ-მიუზიკლის „პატარა მოგზაურები“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მწერლები, ავტორების მეგობრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, რომან ზუკაკიშვილისა და ვაჟა დურგლიშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლები. სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები და კრიტიკოსები: თემურ ჩალაბაშვილი, იზა ჯაჭვაძე, მზია ხეთაგური, ემზარ კვიტაიშვილი, ეკა ქურხული, მანანა კობახიძე, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი ციცინო ქარსაულიძე და სხვები. მომდერალ ანანო მარჩელაშვილის მიერ შესრულდა მიუზიკლიდან ორი სიმღერა. შესრულდა სიმღერის პრემიერა ტატო გოდერძიშვილის მიერ რომან ზუკაკიშვილის ლექსზე „თოვს“.

ციცინო ქარსაულიძე,
საგარეჯოს I საბავშვო ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი

ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო საგარეჯოში

საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საავტორო საღამო გაიმართა. კომპოზიტორის ინიციატივით ნაწარმოებები ტრიო „სემპრე“-მ შეასრულა, ლელა მჭედლიძის(ვიოლინო) თამარ ლიჩელის (ფორტეპიანო) ჰაიკ ბაბაიანის (ვიოლენჩელო) შემადგენლობით.

საღამოს ბოლოს კომპოზიტორმა თავად შეგვისრულა რამდენიმე საესტრადო სიმღერა საკუთარი რეპერტუარიდან.

საორკესტრო საღამოებს მონატრებულმა საგარეჯოელმა მსმენელმა მხურვალე აპლოდისმენტები არ დაიშურა სტუმრებისათვის.

დასასრულ ვაჟა აზარაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და საჩუქრად საკუთარი ნაწარმოებები გადასცა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესცენტრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესცენტრის ფოტო

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

საგარეჯოს სპორტული გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თამარ მელაშვილს დის

მედეა მეურმიშვილის

გარდაცვალების გამო.